ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ ნაპოლეონი

8 ლარი

27 ივნისიდან 11 ივლისამდე




სამშაბათი, 28 ივნისი, 2011 №151 (5532) ფასი: 30 თეთრი

# დავამტკიცებ, რომ სააკაშვილი დიქტატორია!

გვ.3



რატომ გაეკიდა პრეზიდენტი ბურჯანა ეს ბრიუსელში

## ხელისუფლებას არ მივეყიდებით!

გვ.2

ჩვენ ახალ ბრ ოლას ვიწყებთ





## ოპოზიციური რვიანი დაიშალა

გაურიგდნენ თუ არა მემარჯვენეები ხელისუფლებას

გვ.4



გვ.5

## საქართველოში კლასიკური დიქტატურა მყარდება

გვ.6



## ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს

## 26 მაისს აქციის შეწყვეტის შემდეგ პოლიციამ მთელი სისასტიკით გააგრძელა ოპერაცია

გვ.11



გვ.6



## ვინც ხელისუფლებას გაურიგდება, სამუდამოდ დასამარდება

ეს ხელისუფლება ვინც მოიყვანა, იმანვე უნდა წაიყვანოს

## ნაციონალებთან დაპირისპირებას აზრი არ აქვს

გვ.3

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ადამიანის გატაცების მცდელობისათვის

9 ვის დაიმატებს დინამო

11 ბიზნესის წიგნის ყაბარდოელმა რეკორდსმენმა თვალავაძეების ოჯახს გოლიათის დაბადება მიულოცა

9 *ხავიერ მასკერანო:* „არგენტინას საკუთარი სახე უნდა ჰქონდეს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხელისუფლებას არ მივეყიდებით!

ნათია ხურცილავა

**რვიანი ორმა პარტიამ ახალმა მემარჯვენეებმა და ქრისტიან დემოკრატებმა დატოვეს. ამის მიზეზად ისინი რვიანის შესაძლებლობების ამოწურვას ასახელებენ. ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან დანარჩენები და აცხადებენ, რომ მათი გადაწყვეტილება ბრძოლაზე ხელის აღებაა.**

## ჩვენ ახალ ბრ ოლას ვიწყებთ

თავისუფალი დემოკრატების ოფისში ირაკლი ალასანიამ და დანარჩენი ექვსი პარტიის ლიდერმა განცხადება გააკეთა.

— ხანგრძლივი დუმილის, ოპოზიციასთან შეჩერებული მოლაპარაკებების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენელმა პარასკევ საღამოს პოლიტიკური რვიანის ერთ-ერთ წევრს წარუდგინა საკუთარი წინადადებები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, რაც, მათი თქმით, შეცვლას აღარ ექვემდებარება და პასუხი მათზე დღეს უნდა გაიცეს, — ნათქვამია მათ განცხადებაში.

ოპოზიციური ექვსიანის განცხადებით, რომელიც ირაკლი ალასანიამ გააჟღერა, ხელისუფლებამ საარჩევნო სისტემა რეალურად უნდა შეცვალოს და არა არასრულყოფილ შემოთავაზებებზე დათანხმებულ პარტიებს ფული შესთავაზოს.

საუბარია ერთმილიონიან დაფინანსებაზე, რომელიც ხელისუფლების 9 პუნქტიანი შეთავაზების ერთ-ერთი ნაწილია.

ალასანიას განცხადებით, მსგავსი შეთავაზება ვერ ჩაითვლება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებად.

— ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯით კლავ აირჩია ულტიმატუმის, პოლიტიკური ვაჭრობის, შანტაჟის ენა და ფაქტობრივად უარი თქვა პოლიტიკურ დიალოგზე. ჩვენთვის მიუღებელია პრინციპი — ან დაგვეთანხმეთ ან ჩვენ ჩვენსას მაინც გავიტანთ. საარჩევნო გარემოს ცვლილება უნდა დაეფუძნოს დაუბალანსებელი საარჩევნო სისტემის გამოსწორებას და არა არასრულყოფილ წინადადებაზე დათანხმებული პარტიებისთვის ფულის შეთავაზებას. ასეთ გარიგებაში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება ხელისუფლებისა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის შეთანხმებად, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ოპოზიციურ ექვსიანს პოლიტიკური პროცესების წარმართვის გზად ისევ შეთანხმება მიაჩნია. თუმცა, ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ გაკეთებული შეთავაზებები შეცვლას აღარ ექვემდებარება.

რჩება თუ არა თამაშგარე მდგომარეობაში ექვსი პოლიტიკური პარტია, ამის თქმა ჯერ ნაადრევია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი ამ ბრძოლის ფართომასშტაბიან სამოქალაქო მოძრაობად გადაქცევას აპირებენ.

— პოლიტიკური პროცესის სწორი წარმართვის ერთადერთ გზად ყოველთვის მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია, რომ შეათნხმების გზით აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რომელიც საქართველოს საარჩევნო გარემოს უსამართლობას განაპირობებს. ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ სამართლიანი არჩევნებისთვის და ამ გზით ხელისუფლების შესაცვლელად. ერთად ამ ბრძოლას გადავაქცევთ ფართომასშტაბიან სამოქალაქო მოძრაობად თავისუფალი არჩევანისთვის და ხალხთან ერთად მივაღწევთ გამარჯვებას, — განაცხადა ალასანიამ.

ხელისუფლების შეთავაზებების შემდეგ რვიანმა არაერთი კონსულტაცია ჩაატარა, რის შემდეგაც მათ მიიღეს დოკუმენტი, რომელზეც არ არის დაფიქსირებული ახალი მემარჯვენეებისა და ქრისტიან-დემოკრატების ხელმოწერა.

— საარჩევნო საკითხებზე ჩვენ შემოთავაზებებზე პასუხი ხელისუფლებამ წინასწარ დათქმულ ვადებში არ წარმოადგინა, მაგრამ ჩვენმა თანმიმდევრულმა და პრინციპულმა პოზიციამ და პროცესისადმი უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერამ განაპირობა 24 ივნისს ხელისუფლების დაბრუნება მოლაპარაკებების პროცესში და წინანდელთან შედარებით უფრო მრავალმხრივი წინადადებების შემოთავაზება. ამასთანავე, გაუგებარია ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების ხაზგასმულად წინ წამოწევა (თანაც მხოლოდ მორჩილი ოპოზიციის ჯილდოდ) მაშინ, როდესაც ძირითად საკითხებზე (საარჩევნო სისტემა, საარჩევნო სიები) ხელისუფლების წინადადებები ჯერ კიდევ შორსაა ადეკვატურისაგან, ხოლო სხვა წინადადებები მოითხოვს მნიშვნელოვან დაზუსტებებს, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც დავით უსუფაშვილმა გააჟღერა.

ხელისუფლების წინადადებებზე ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ მათი შეთავაზებები არ პასუხობს საარჩვენო გარმეოს გაუმჯობესებისთვის აუცილებელ პრინციპებს.

— წარმოდგენილი წინადადებები არ პასუხობს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის აუცილებელ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლება გვთავაზობს გარკვეულ საყურადღებო წინადადებებს (მედია, ადმინისტრაციული რესურსი, საარჩევნო დავები, კენჭისყრის პროცედურები, დაფინანსება და სხვ.), მაგრამ მხოლოდ ეს შემოთავაზება არ უზრუნველყოფს თავისუფალ საარჩევნო გარემოს და სამართლიან კონკურენციას. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, ჩვენთვის მთავარია პირველ რიგში ძირითად საკითხებზე შეთანხმება და შემდეგ გადასვლა სხვა საკითხებზე, რაზეც ხელისუფლება გთავაზობს საყურადღებო წინადადებებს. ძირითად საკითხებზე ჩვენი წინადადებებია:

საარჩევნო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და მანდატების რაოდენობის პროპორციულობას, მაგალითად, ჩვენს მიერ ადრე შეთავაზებული ვერსიები: პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემა თანადაფიხასხებით 2:1, ასევე, 50-პროცენტიანი ბარიერი მაჟორიტარული არჩევნებისთვის ან რეგიონალურ-პროპორციული სისტემა მსხვილი პროპორციული საარჩევნო ოლქებით ან პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემა პროპორციული მანდატების გერმანული მოდელის მიხედვით განაწილებით. ამომრჩეველთა სიების ფორმირება ცესკო-სა და ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მრავალმხრივი კომისიის მიერ ბიომეტრიული პარამეტრების გამოყენებით ჩატარებული ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, — ნათქვამია განცხადებაში.



ოპოზიციური ექვსიანი მზად არის დიალოგის გასაახლებლად, არა მხოლოდ ბოლო წინადადებების დასაზუსტებლად, არამედ პოზიციების დასაახლოვებლად კომპრომისული შეთანხმების მისაღწევად.

როგორც ჩანს, ისევ ძალაშია ასი ათასი ადამიანის მობილიზება, რადგან ოპოზიციურ ექვსიანს ხელისუფლებაზე ზეწოლის ერთადერთი გზა რჩება. თუმცა, გუშინ ოპოზიციის ლიდერებს არ დაუკონკრეტებიათ, რა მეთოდებით აგრძელებენ ბრძოლას.

— ამ განცხადებაზე შემოერთება ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა შეუძლებლად ჩათვალა, რადგან ისინი ხელს აწერენ ხელისუფლების მიერ ულტიმატუმების ფორმით შემოთავაზებულ წინადადებებზე, რომელშიც ცვლილებები აღარ შევა. მათ განმარტეს, თუ ამაზე არ დავთანხმდებით, მაშინ ხელისუფლება აღარაფერს არ შეცვლის საარჩევნო კანონმდებლობაში. ჩვენთვის ასეთი მიდგომა არის მიუღებელი. ვთვლით, ეს არის ბრძოლაზე ხელის აღება, მაშინ, როდესაც კრიტიკული მომენტი მოახლოვდა. იმ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ მოლაპარაკების პროცესზე წამოსულიყო. ამ ვითარებაში ჩვენგან პრინციპული და სალი პოზიციის დაკავებაა აუცილებელი. ბრძოლას ვაგრელებთ სამართლიანი არჩევნების მოსაპოვებლად. ხელისუფლების შესაცვლელად, ეს ბრძოლა რთული იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად მივაღწევთ სერიოზულ გამარჯვებას, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

კითხვაზე, როგორ აპირებენ ხელისუფლების დაბრუნებას მოლაპარაკების პროცესში, ირაკლი ალასანიას პასუხი ასეთია:

— ჩვენ შევქმნით იმ გარემოებებს საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, როდესაც ხელისუფლებას მოუწევს მოლაპარაკებაზე დაბრუნება. არც ერთი მეთოდი პოლიტიკური ბრძოლის გამორიცხული არ არის. ფართომასშტაბიანი სულისკვეთების დაფიქსირებით ვაიძულებთ ხელისუფლებას, რომ უფრო მეტი სამართლიანი გარემო შექმნას. ის, რაც არის შემოთავაზებული, მინიმალური — ფასადურია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი რამდენიმე პარტნიორი დათანხმდა ამ შემოთავაზებას, — განაცხადა ალასანიამ.

**კახა შარტავა, „ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარე:**

— რვიანი არ დაშლილა, დაშლა ნიშნავს იმას, როდესაც ყველა მიდის. ამ შემთხვევაში საუბარია ორი სუბიექტის წასვლაზე, დანარჩენები ვრჩებით და უფრო მჭიდრო, საქმიანი ინტეგრაციის რეჟიმში ვაგრძელებთ დასახული ამოცანების მიღწევას.

***— როგორ აპირებთ ბრძოლის გაგრძელებას?***

— აუცილებლად გეტყვით, მაგრამ ეს თემა დღევანდელ დღეს არ ეხება.

**ზვიად ძიძიგური, „კონსერვატიული პარტიის“ თავმჯდომარე:**

— არაფერი არაბუნებრივი ამ პროცესში არ არის. მთავარი ის არის, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ვაპირებთ საქმის გაგრძელებას, მაგრამ არა ის, რომ მეშვიდე სუბიექტად შემოვიდეს სამოქალაქო მოძრაობა. პირიქით, სამოქალაქო მოძრაობა სადაც იქნება, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ერთიანი სტრუქტურით, ერთიანი ხელმძღვანელობით, ერთიანი პოლიტიკით ეს იქნება ჩვენი შემდგომი ნაბიჯი. თავიდანვე გვქონდა ასეთი გეგმა. მართალია ამ გეგმის წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენი ყოფილი კოლეგები, მაგრამ ვფიქრობ, ახლა ხელისშემშლელი ფაქტორები აღარ არსებობს. სავსებით ნათელია საზოგადოებისთვის, რა მოვლენებთან გვაქვს ჩვენ საქმე. დაძაბულ ნერვულ ბრძოლაში გამოგვაკლდა ორი პარტნიორი, რომელმაც თქვა, მისაღებია ჩემთვის ის წინადადება, თუ დავთანხმდები ხელისუფლების შემოთავაზებულ წინადადებას, მილიონს ჩამირიცხავენ საარჩევნო ანგარიშზე. ხელისუფლების შემოთავაზებულ წინადადებებში არ არის პრინციპული ცვლილებები, არის მხოლოდ საარჩევნო ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის შემოთავაზება. ასეთი ტიპის დოკუმენტს ხელს აწერს ჩვენი ორი ყოფილი კოლეგა, რაზეც მე ხალისით არ ვსაუბრობ. რვიანი იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო, აღარ დარჩება, მაგრამ „სამართლიანი არჩევნებისთვის სამოქალაქო მოძრაობა“ არის უნივერსალური ფორმა. ამ ფორმით ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ საზოგადოებას უბრძოლია და გაუმარჯვია კიდეც. ვაპირებთ ამ ფორმით ბრძოლის გაგრძელებას. ჩევნ არ ვაპირებთ ხელის მოწერას იმ დოკუმენტზე, სადაც გვეუბნებიან, ხმა არ ამოიღოთ და მილიონს ჩაგირიცხავთო. რასაკვირველია, ცუდად ვაფასებ მათ გასვლას, მათ ვერ გაუძლეს ცდუნებას, ნერვულ დაძაბულობას, რომელიც დაპირისპირების დროს იყო. ეს იყო ძალიან ჩუმი ნერვების ბრძოლა, ორთაბრძოლა ნოხის ქვეშ. აქედან გამომდინარე, გვაქვს დანაკარგები. რას ვიზამთ, მინახავს ასეთი რამე ქართულ პოლიტიკაში. ვწუხვარ, რომ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღეს ახალმა მემარჯვენეებმა და ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ. გაცილებით მეტის მიღწევა შეიძლებოდა ერთიანობის შენარჩუნების შემთხვევაში. მათ ეს ვერ შეძლეს.

**კობა დავითაშვილი, „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე:**

— ხელისუფლებამ ადრეც განაცხადა, რომ პროცესი დასრულდა. ახლა აირჩია ულტიმატუმის, შანტაჟის და პოლიტიკური ვაჭრობის ენა, ენა მილიონის შემოთავაზებისა ჩვენი დათანხმების სანაცვლოდ. ეს ენა ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენი პასუხი ცხადია — არა. რადგან ხელისუფლებამ აირჩია ულტიმატუმის ენა, ჩვენ ხალხთან ერთად დავსვამთ ამ ხელისუფლებას მოლაპარაკების მაგიდასთან და ვაიძულებთ, რომ მიიღოს და გაითვალისწინოს ხალხის ნება.

***— როგორ უნდა აიძულოთ?***

— როგორც აიძულა ეროვნულმა მოძრაობამ კომინუსტური ხელისუფლება. მე არ ვაპირებ კომენტარების გაკეთებას ქრისტიან-დემოკრატების განცხადებებზე. ხალხი და საზოგადოება უკვე აძლევს მათ შეფასებებს.

## ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ადამიანის გატაცების მცდელობისათვის

2011 წლის 6 ივნისის განაჩენით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ადამიანის გატაცების ორგანიზებაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვასა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებულთა ჯგუფი გაასამართლა. აღნიშნული განაჩენით, მსჯავრი ჯგუფურ დანაშაულში მონაწილე 4 პირს დაედო. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებული კ.მ. დანაშაულებრივი ჯგუფის მეორე წევრს დ.ბ-ს ქუთაისელი მეწარმე ავთანდილ გაბადაძის გატაცების მიზნით დაუკავშირდა. დანაშაულის ჩადენის გაადვილებისა და ჯგუფის საბრძოლო მასალით შეიარაღების მიზნით მათ მეწარმისათვის თავისუფლების აღკვეთის მომზადებაში ჩართეს კიდევ ორი პირი — კ.მ. და გ.ს. დანაშაულებრივმა ჯგუფმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. თერჯოლიდან ქ.ქუთაისის მიმართულებით მანქანით გადაადგილებისას კ.მ. და დ.ბ. პოლიციის მუშაკებმა დააკავეს. მანქანისა და პირადი ჩხრეკისას პოლიციამ ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები ვაზნებით, 4 პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება, ნიღბები, სამი წყვილი ხელთათმანი, თოკი და წებოვანი ლენტი. ჯგუფის მესამე წევრი ბ.ე. პოლიციამ ქუთაისში დააკავა. გ.ს. კი ამ დრომდე ძებნილია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების მოთხოვნა განსასჯელების უდანაშაულოდ ცნობის შესახებ. საქმეში არსებული ავტომანქანებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ექსპერტიზის დაკვნებითა და მოწმეთა ჩვენებებით სასამართლომ უტყუარად და დადასტურებულოდ ცნო ბრალდებულთა მიერ

აღნიშნული დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია: „სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდებულების ვერსიას მათი უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, რადგან იგი არამხოლოდ ვერ პოვებს დადასტურებას საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, არამედ წინააღმდეგობაშია მათთან, რაც ააშკარავებს ბრალდებულების განზრახვას მოგონილი ვერსიით თავი აარიდონ მოსალოდნელ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას“.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს - კ.მ.-ს 29 წლით, დ.ბ.-ს 26 წლით, ბ.ე.-ს 25 წლით, გ.ს.-ს კი 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ალანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაციონალებთან დაპირისპირებას აზრი არ აქვს

**ოპოზიციური რვიანი ექვსიანად გადაიქცა. რვათვიანი ურთიერთობის შემდეგ რვიანი დაიშალა. რვიანის დაშლა ახალმა მემარჯვენეებმა დააგვირგვინეს. ეს მოსალოდნელიც იყო.**

ნანა მიშელაშვილი

რვიანის შიგნით არსებულ უთანხმოებაზე მედია ბოლო პერიოდში აქტიურად წერდა, თუმცა, რვიანის დაშლას ყველაზე ხშირად ისინი უარყოფენ, ვინც პირველი მიდის რაიმე გაერთიანებიდან ან ბლოკიდან.

ნაციონალური მოძრაობის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს პირველმა მხარი ახალმა მემარჯვენეებმა დაუჭირეს, შემდეგ კი ქრისტიან-დემოკრატებმა.



ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გიორგი თარგამაძე ამჯერად ამერიკაშია. პარტიის დანარჩენი წევრები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლების შეთავაზებას დაეთანხმნენ.

დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რვიანში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების ნაყოფიერი მუშაობისა და ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, დასავლელი პარტნიორების პრინციპული პოზიციის გათვალისწინებით, ხელისუფლება იძულებული გახდა წასულიყო რიგ მნიშვნელოვან დათმობებზე.

ნიკა ლალიაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული პირობები სრულად არ პასუხობს მათ მოთხოვნებს, ისინი მიიჩნევენ, რომ ამ წინადადებების რეალიზებით, ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება პოლიტიკური პროცესი, ვიდრე აქამდე იყო.

— ქართულ ოპოზიციას აქვს ძალზე სამწუხარო გამოცდილება ნაციონალურ მოძრაობასთან კატეგორიულობაში და რადიკალიზმში შეჯიბრისა, რომელშიც როგორც წესი, ყოველთვის მმართველი გუნდი გამოდიოდა გამარჯვებული. ამიტომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიცაა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივა, ჩვენთვის ყოველთვის მიუღებელი იყო კატეგორიულობა და პოზიცია „ან ყველაფერი, ან არაფერი“ რადგან მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური პროცესი ჩიხში შევა და ხელისუფლება ქვეყანას წაიყვანს სრული იზოლაციონიზმისა და არადემოკრატიული მმართველობისკენ, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

— ვფიქრობთ, რომ პროცესი ამით კი არ დასრულებულა, არამედ რეალურად ახლა იწყება, რადგან ახალი პირობები საშუალებას მისცემს დემოკრატიულ ძალებს, მათ შორის იმ პარტიებსაც, ვინც შემოთავაზებულ წინადადებებს დღეს არ იზიარებს, რომ თუმცა, არა იდეალურ, მაგრამ აშკარად გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოში გააგრძელონ პოლიტიკური ბრძოლა და აჩვენონ შედეგი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

ექვს პარტიას, რომლებმაც ხელისუფლების შეთავაზებას ხელი არ მოაწერეს, საკუთარი არგუმენტები აქვთ. ექვსი პარტიისთვის გაუგებარია ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების ხაზგასმულად წინ წამოწევა, მაშინ, როდესაც ძირითად საკითხებზე, როგორიცაა საარჩევნო სისტემა, ამომრჩეველთა სიები და სხვა ხელისუფლების წინადადებები ჯერ კიდევ შორსაა ადეკვატურისგან, ხოლო სხვა წინადადებები მოითხოვს მნიშვნელოვან დაზუსტებას.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დავამტკიცებ, რომ სააკაშვილი დიქტატორია!

თეა მარხვაიძე

**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პირობას დებს, რომ მიხეილ სააკაშვილს საერთაშორისო დონეზე მოსჭრის თავს. ბურჯანაძე ამბობს, სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაში იქნება, დიქტატორის იარლიყს ვერ მოიცილებს. მას ევროპელი მეგობრების იმედი აქვს და სჯერა, რომ 26 მაისის სისხლიან დარბევას საერთაშორისო კომისია შეისწავლის.**

ის არ ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 26 მაისს შეგნებულ პროვოკაციაზე წავიდა. არც იმ პოლიტიკოსების აზრის გაზიარებას აპირებს, რომლებიც მას დროებით დასვენებას ურჩევენ. ბურჯანაძე თავის თანამოაზრეებთან ერთად ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს. ყოფილი სპიკერი ლეიბორისტების ინიციატივას მიესალმება და აწ უკვე დაშლილ ოპოზიციურ რვიანს გადაგდებულად მიიჩნევს.

რატომ ჩავიდა ბრიუსელში, რას ჰპირდება სააკაშვილს, რა ხდება ბადრი ბიწაძის თავს და რა იქნება მომავალში, ამ თემებზე ნინო ბურჯანაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება,

**ნინო ბურჯანაძე:**

— ბრიუსელში წასვლის წინ განვაცხადე, რომ მე ევროპაში შეხვედრებს გავმართავ. ბრიუსელის შემდეგ იქნება სხვა ვიზიტები. ამ ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მედიისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება. როგორც ეს უკრაინაში იყო. ამ კუთხით ძალიან სერიოზული შეხვედრები მქონდა. ამ კვირის განმავლობაში ძალიან ბევრ საინტერესო გამოცემაში ნახავთ ჩემს ინტერვიუებს. ჩვენ უნდა გავიტანოთ სიმართლე საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

***— ბრიუსელში ყოფნის დროს პოლიტიკოსებთან თუ გქონდათ შეხვედრები?***

— რა თქმა უნდა, შევხვდი ბელგიის ხელისუფლებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებს. ბელგიის პარლამენტში შევხვდი წამყვან პოლიტიკურ ფიგურებს. ყოფილ პარლამენტის თავმჯდომარეს, მმართველი პარტიის ხელმძღვანელებს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებს. ვითხოვეთ, რომ ბელგიის პარლამენტი დაგვეხმაროს იმაში, რომ საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საერთაშორისო კომისია შეიქმნას. ჩემს უცხოელ მეგობრებს ვუთხარი, რომ საქართველოში 26 მაისს დაიბადა ახალი დიქტატორი. ამის დასამტკიცებლად არგუმენტებიც წარვუდგინე. საინტერესო იყო ევროკავშირის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრები. შევხვდი ევროპარლამენტის კავკასიის ჯგუფის წარმომადგენლებს. ასევე პოლონეთის დელეგაციას. მათთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ პოლონეთი 1 ივლისიდან ხდება ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა. შეხვედრები იყო სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთანაც. მათ ძალიან სერიოზული მასალები წარვუდგინეთ.

***— ეს მასალები 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს ეხება?***

— ამ მოვლენებს ეხება. ჩვენ მათ გადავეცით როგორც ფოტო, ასევე ვიდეო მასალები. არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები. ძალიან ბევრი დოკუმენტი წარვუდგინე მათ იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში არ არსებობს დემოკრატია. ვუთხარი ისიც, რომ ხელისუფლება სახალხო კრებისა და პირადად ჩემი დისკრედიტაციით არის დაკავებული. და სწორედ იმიტომ, რომ დიქტატურის დამყარებაში ვუშლი ხელს. ბრიუსელში ყოფნის დროს ვთქვი, რომ საქართველოში არის ასობით პოლიტიკური პატიმარი, რომელთა უფლებებიც ირღვევა. მიმაჩნია, რომ ეს ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ევროპაში მე ძალიან საინტერესო შეფასებები მოვისმინე. ასევე ძალიან კომიკური იყო სააკაშვილის გამოქცევა ჩემს კვალდაკვალ.

***— ისე მართლა საეჭვო იყო სააკაშვილის მოულოდნელი ვიზიტი ბრიუსელში.***

— ეს სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. რამდენიმე ძალიან სერიოზულმა ადამიანმა მითხრა, არ იყო პრეზიდენტის ჩამოსვლა დაგეგმილი და რატომ ჩამოვიდაო. სააკაშვილის ამოცანა იყო, როგორმე გადაეფარა ჩემი ბრიუსელში ყოფნა. ცდილობდა ტყუილები ეთქვა იმ კაბინეტებში, სადაც მე მოვახერხე სიმართლის მიტანა.

***— თქვენ გაბრალებენ, რომ წახვედით შეგნებულ პროვოკაციაზე. პოლიტიკოსებსა თუ ექსპერტებს აინტერესებთ, რატომ იყავით დარწმუნებული, რომ სააკაშვილი აუცილებლად გადადგებოდა.***

— მე არსად არ მითქვამს, რომ სააკაშვილი 26 მაისს გადადგებოდა. ჩვენ ვამბობდით სხვა რამეს. გვქონდა ძალიან კონკრეტული გეგმა, რომელსაც განხორციელებისთვის იმაზე მეტი ადამიანი სჭირდებოდა, ვიდრე ქუჩაში გამოვიდა. ამ გეგმის თანმიმდევრობით მიყოლის შემთხვევაში ხელისუფლება იძულებული გახდებოდა გადამდგარიყო. ზოგი პოლიტიკოსი ძალიან გაკვირვებით ამბობს, რას ნიშნავს გეგმა ხალხზე იყო გათვლილიო. ეს გაკვირვება ჩემთვის მიუღებელი და გაუგებარია. აბა რაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი ჩვენი გეგმა? ხალხზე გაუთვლელი პროტესტი ეს არის სახელმწიფო გადატრიალება, პუტჩი. პუტჩი არავის არ სდომნია. ამიტომაც იყო ჩვენი გეგმა გათვლილი ხალხის რაოდენობაზე. დიახ, ჩვენი გეგმა იყო მშვიდობიანი რევოლუცია, სადაც მთავარი ძალა იყო ხალხი. მე ვერ ვხვდები, რატომ აღმოჩნდა ეს ბევრისთვის მოულოდნელი. კრების სლოგანი ასეთი იყო „ძალა ხალხშია“. ყველა გამოსვლაში ამას ვამბობდით. ვამბობდით, რომ თუ იქნება ბევრი ადამიანი, სააკაშვილი იძულებული იქნება წავიდეს და ეს პროცესი იქნება სწრაფი და უმტკივნეული. ვამბობდით, რომ თუ ბევრი ხალხი იქნება ქუჩაში, სააკაშვილი ვერ გაბედავს დარბევას და სისხლი არ დაიღვრება.

***— რაც შეეხება შეგნებულ პროვოკაციას?***

— შეგნებულ პროვოკაციაზე არ წავსულვართ. ამას ვაი-პოლიტიკოსები და ვაი-საზოგადო მოღვაწეები ამბობენ. მათ ვურჩევ წაიკითხონ იქ მყოფი ადამიანების მონათხრობი. ამის შესახებ ქართულ პრესაში ბევრი მასალა დაიბეჭდა. ამ ადამიანებმა იცოდნენ, რისთვის იბრძოდნენ. მათ იცოდნენ, რომ საკუთარი სამშობლოს გადარჩენისთვის იბრძოდნენ. ყველა ეს ადამიანი მზად იყო დარბევისთვის. ყველა ეს ადამიანი მზად იყო თავის გატეხვისთვის, რათა სხვებისთვის მიეცა მაგალითი. დიახ, ჩვენ მზად ვიყავით დარბევისთვის. ოღონდ არავინ არ ვიყავით მზად იმისთვის, რაც ხელისუფლებამ გააკეთა. არავის არ ეგონა, რომ ხელისუფლება ხალხს სასიკვდილოდ გაიმეტებდა და ლიკვიდაციის ბრძანებებს გასცემდა.

***— სახალხო კრების მომხრეების დიდი ნაწილი დააპატიმრეს. ამ დარბევამ ადამიანები დათრგუნა. ბრძოლის გაგრძელებას აპირებთ?***

— ბრძოლა აუცილებლად გაგრძელდება. ჩვენ ვერ შეგვაშინებენ. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო არც ერთი დაკავებული ადამიანი არ დარჩენილიყო სამართლებრივი და სამედიცინო დახმარების გარეშე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, საზოგადოებრივ დამცველს, ზაზა ხატიაშვილს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩაერთვნენ ამ პროცესებში. ჩვენ გვინდოდა, რომ ადამიანები ამ ხელისუფლების პირისპირ მარტო არ დარჩენილიყვნენ. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო წითელი ჯვრის ორგანიზაცია, რომელიც აქტიურობდა ამ პროცესის განმავლობაში. ზოგიერთი პოლიტიკოსი გამოდის და ბევრს საუბრობს, რომ თურმე მე და კრება უნდა გავრიდებოდით პოლიტიკას და თვითგვემას მივცემოდით. უკაცრავად და ამ ადამიანებს ვინ მიაქცევდა ყურადღებას, თვითგვემა რომ დაგვეწყო? ძალიან ადვილია, როცა მოვლენებს გვერდიდან უყურებ. მე, ისევე როგორც მთელი სახალხო კრება და ჩემი პარტია, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ როგორც ხალხის, ასევე ქვეყნის წინაშე. სწორედ ამიტომ არის, რომ ერთი წამით არ ჩაგვიხრია მუხლი. არც დეპრესიაში არ ჩავვარდნილვართ. ჩვენი თანადგომა დაზარალებულებს და დაკავებულებს სჭირდებოდა. ყველას მადლობა უნდა ვუთხრა, ვინც 26 მაისს რუსთაველზე იდგა. ისინი არიან გამძლეები. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ქვეყანა გადაარჩინონ. ამათგან წუწუნი არ გამიგონია. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

***— რაც შეეხება ბრძოლის გაგრძელებას. რას აპირებთ?***

— ღვთის წყალობით დაკავებული ადამიანების ერთი ნაწილი უკვე გამოვიდა. ისინი ნელ-ნელა მწყობრში დგებიან. ისინი მორალურად ძალიან ცუდად არიან.ბევრ მათგანს სერიოზული ფიზიკური დაზიანებები აქვთ. ნელ-ნელა იშუშებენ ჭრილობებს. მალე ყველა მწყობრში იქნება. მთელი ამ ზაფხულის განმავლობაში ორგანიზაციულ საკითხებს მოვაგვარებთ. უცხოეთში მაქსიმალური ინტენსივობით გაგრძელდება ჩვენი ვიზიტები. გვინდა, მსოფლიოში გაიგონ, რომ ევროპაში 26 მაისს დაიბადა ახალი დიქტატორი — მიხეილ სააკაშვილი. ის მე ცილს მწამებს. ბინძური, შავი პიარის დახმარებით გარკვეული ადამიანების თვალში მომაწება ქვეყნის მოღალატის და რუსეთის აგენტის იმიჯი. მე მას სრულიად დამსახურებულად მივაწებებ იმ იარლიყს, რომელსაც იმსახურებს.

***— რა იარლიყის მიწებებას აპირებთ?***

— მსოფლიო გაიგებს, რომ ის არის ახალი ლუკაშენკო. მოდერნიზებული ლუკაშენკო. გარწმუნებთ, რომ ის ამ იარლიყით ივლის საქართველოს ხელისუფალის რანგში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ვერ იქნება.

***— ლეიბორისტებმა ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდეს, რომ ყველამ გამოუცხადოს სააკაშვილს უნდობლობა. პოლიტიკოსების ნაწილი ამ იდეას არ იწონებს. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— ჩვენ გამოვუცხადეთ მხარდაჭერა ლეიბორისტების ამ ინიციატივას. ეს არის პოლიტიკური და არასამართლებრივი პროცედურა. ვილაცეები ამბობენ, რომ ამ პროცედურას სამართლებრივი ძალა არა აქვსო. ასეთი შეფასებები არასერიოზულია. სამართლებრივი ძალა აქვს მხოლოდ კანონს და კონვენციას. პოლიტიკოსების ყველა დანარჩენ განცხადებას აქვს მორალურ-პოლიტიკური ძალა. დიახ, ლეიბორისტების ამ განცხადებას აქვს მორალური ძალა. თუ საქართველოში ყველა ოპოზიციურ ძალას ეყოფა გამბედაობა, ხელი მოაწეროს ამ დოკუმენტს, ძალიან კარგი იქნება. ამით მსოფლიო გაიგებს, რომ საქართველოში ხელისუფლებას როგორც დიქტატურას, ისე აფასებენ. ლეიბორისტების პოლიტიკურ მოთხოვნას პრეზიდენტის პასუხისმგებლობის იმპიჩმენტის შესახებ ჩვენ მხარს დავუჭერთ. ყველა დონეზე უნდა გაფორმდეს, რომ საქართველოში დღეს არის მოდერნიზებული დიქტატურა. საქართველოში დღეს არის ნეობოლშევიზმი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სააკაშვილის იმპიჩმენტისთვის თუნდაც ის კანონები იქნება საკმარისი, რომლებსაც ახლა იღებენ. ეს კანონები საქართველოს დემოკრატიულობას ასამარებს.

***— რვიანთან დაკავშირებით რას იტყვით. გუშინ გაირკვა, რომ ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა. ამის გამო რვიანის ერთი ნაწილი პროტესტს გამოთქვამს.***

— ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. მოხდა ის, რასაც ველოდი. სულ ვამბობდი, რომ ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ წავა. ხელისუფლება გამოიყენებს კონსულტაციებს თავისი მმართველობის გასახანგრძლივებლად. ასეც მოხდა. ხელისუფლებამ ჩაითრია ამ პროცესში პარტიები. ძალიან ბევრი ადამიანი, ვისაც არ სჯეროდა, მოლოდინის რეჟიმში გადაიყვანა. ხელისუფლებამ თავისი საქმე გააკეთა და რვიანი გადააგდო. თუ ეს რვიანის ცალკეულმა წარმომადგენლებმა დაინახეს, ძალიან კარგია. ვინც ვერ დაინახა, მათ გადაწყვეტილებას სხვა რამე ჰქვია. ხელისუფლება იმ პარტიებს ფულს გადაუხდის, ვინც მისი თამაშის წესებით ითამაშებს. რას ნიშნავს ეს, მკითხველმა შეაფასონ.

***— მოდით შევცვალოთ თემა, რა ხდება ბადრი ბიწაძის თავს, გამოაცხადებს თუ არა ხელისუფლება მასზე საერთაშორისო დევნას.***

— ბადრი ბიწაძის თავს იგივე ხდება, რაც ძალიან ბევრი ადამიანის თავს. ეს არის პოლიტიკური დევნა, პოლიტიკური შანტაჟი. ხელისუფლება შეეცადა, რომ ანკესზე წამოვეგეთ. თავიდან გირაო გამოგვიცხადეს. როცა ეს გირაო ვერ მიიღეს, ჩავარდნენ საკმაოდ ცუდ დღეში. 3 კვირა ფიქრობდნენ, რა ექნათ. მათ არა აქვთ არანაირი დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ბიწაძეს რამე დანაშაული აქვს ჩადენილი. მასზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება ძალიან გაუჭირდებათ. ამ დღეებში გვაჩვენეს გამოკითხვა, რომლის თანახმადაც გამოკითხულთა 53% მხარს უჭერს ბიწაძის დაპატიმრებას. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ ტარდება ეს გამოკითხვები. ვიცით ისიც, რომ ხელისუფლება ინტერნეტის გაკონტროლებას ცდილობს. ამის შესახებ ჩვენს უცხოელ მეგობრებსაც მივაწვდით ინფორმაციებს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ხელისუფლებამ სატელეფონო კოდები შეცვალა. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ავტომატი არ ეუბნება ადამიანს, როგორ უნდა დარეკოს სწორად. ამის გამო უცხოეთიდან ჩვენთან ბევრს უჭირს დაკავშირება. ეს ყველაფერი შეგნებულად გაკეთდა. სააკაშვილს უნდა, რომ საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციოს და აქაურობა ისე მართოს, როგორც თავის სახანო. მას ეს არ გამოუვა.

**რატომ გაექცა პრეზიდენტი ბურჯანაძეს ბრიუსელში**



შედით საიტზე atb.ge „%!!

# ოპოზიციური რვიანი დაიშალა

## გაურიგდნენ თუ არა მემარჯვენეები ხელისუფლებას

**ოპოზიციური რვიანი დაშლილია. ახალი მემარჯვენეები ხელისუფლების მიერ საარჩევნო გარემოს კუთხით წარმოდგენილ წინადადებებს იზიარებენ, რვიანის გარეშე მოქმედებენ. ბარიერგადალახულ პარტიებს კი ხელისუფლება 1 მლნ ლარით დააფინანსებს, — ამის შესახებ გუშინ ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერის მამუკა კაციტაძის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი.**



შორენა კოწოწაშვილი

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ცხრათვიანი მოლაპარაკების თავზე ხელისუფლებამ ოპოზიციური რვიანი მოლაპარაკების მაგიდასთან მიატოვა და საბოლოოდ ის წინადადებები შესთავაზა, რომელიც თავდ აწყობდა. ამასთან,წინადადებების მიღების ვადად მკაცრად განუსაზღვრა 27 ივნისის საღამოს 18 საათი, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის უპირატესობას.

პავლე კუბლაშვილის მიერ გაჟღერებული ხელისუფლების საარჩევნო წინადადებების გაჟღერების პარალელურად ექსპერტთა მხრიდან გაჩნდა მოსაზრება, რომ რვიანი ხელისუფლების წინადადებებს დათანხმდებოდა.

ხელისუფლების მიერ წამოყენებულ წინადადებებს საჯაროდ პირველად მხარი ახალმა მემარჯვენეებმა დაუჭირეს და ამით აშკარად სასწორზე შეაგდეს პარტიის იმიჯი და შემდგომი ბედი.

ახლების პოზიცია ხელსიუფლების წინადადებებთან დაკავშირებით საზოგადოებას მამუკა კაციტაძემ გააცნო, პოლიტიკოსმა, რომელიც თავად იყო ჩართული ხელისუფლებასთან დიალოგში და რომელიც თავიდანვე დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ რვიანი ხელისუფლებას დათმობებზე წაიყვანდა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ახალმა მემარჯვენეებმა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე ხელისუფლების შეთავაზება მიიღეს. ახლები თანახმა არიან, მიიღონ ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადებები საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ეს ცვლილებები ზედმიწევნით აისახოს საარჩევნო კანონმდებლობაში.

კაციტაძე ფიქრობს, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადებები მათი მხრიდან დათმობის პირველი პრეცედენტია, თუმცა, არა საუკეთესო ვარიანტი.

— რომ მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად პირველად მივაღწიეთ არასაუკეთესო, მაგრამ სოლიდურ შედეგს, რამაც შეიძლება ერთმნიშვნელოვნად უკეთესი გახადოს საარჩევნო გარემო. დღეს ყველას პირველად ეძლევა საშუალება, დაამსხვრიოს სტერეოტიპები, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში ე.წ. ჩიხის სინდრომი ჩამოაყალიბა და რომლის მიხედვითაც ხელისუფლება თვითონ არაფერს დათმობს და ოპოზიციას არ შეუძლია კომპრომისის გზით სიარული, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ. მისი თქმით, ამ სტერეოტიპის ტყვეობაში არიან აქამდე ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ექსპერტები საზოგადოება კი გადაიღალა. ამიტომ, კაციტაძე თვლის, რომ ეს შანსი ყველამ უნდა გამოიყენოს და გადადგას თამამი ნაბიჯი იმისათვის, რომ ყველამ ერთად — ხელისუფლებამ, საზგადოებამ და ოპოზიციამ დააღწიოს თავი ამ სტერეოტიპებს.

— დღეს არის შანსი, მივიღოთ მართლაც არაორდინარული გადაწყვეტილება და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადებები რეალურად ვაქციოთ ჩვენი წარმატების საფუძვლად. ახალი მემარჯვენეები მივიჩნევთ, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და საზგადოებამ კარგად უნდა გააცნობიერონ, რა არჩევნის წინაშე არიან დღეს და გადაწყვეტილება ისე მიიღონ, — აღნიშნა მამუკა კაციტაძემ.

მისი თქმით, ახალი მემარჯვენეებისთვის ეს არის გზა, რომელთათვისაც ყოველთვის წარმოადგენდა პოლიტიკურ არჩევანს ხელისუფლების შეცვლა და დემოკრატიული ცვლილებები არა რევოლუციების, პოლიტიკური რყევების და სამოქალაქო დაპირისპირებების, არამედ ცივილიზებულ კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარებული არჩევნების გზით.

— ეს არის პირველი, მაგრამ სერიოზული ნაბიჯი საარჩევნო კოდექსის კომპლექსური ცვლილებების გზით საქართველოში საზოგადოებას დუბრუნდეს რწმენა არჩევნებისადმი და შეიქმნას პირობები თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების ჩატარებისათვის, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

რაც შეეხება იმას, რჩებიან თუ არა ახლები ოპოზიციურ რვიანში, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ ყველა ტიპის შემოთავაზება დასრულებულია და შესაბამისად, მოლაპარაკებებიც დამთავრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ რვიანმა ამოწურა საკუთარი თავი. მამუკა კაციტაძის თქმით, რვიანში შემავალმა პარტიებმა განსხვავებული მოსაზრებების გამო ხელისუფლების შეთავაზებაზე ერთიანი პოზიცია ვერ ჩამოაყალიბეს. ამიტომ ახალმა მემარჯვენეებმა საჭიროდ ჩათვალეს ცალკე პოლიტიკური განცხადება გაეკეთებინათ.

— მოლაპარაკებები დასრულდა. რვიანმა ფუნქცია ამოწურა. ახალი მემარჯვენეები მინუს რვიანს ნიშნავს, რომ რვიანი აღარ არის, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ. აღსანიშნავია, რომ ამ შედეგს ის პარტიები ელოდნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ხელისუფლება დათმობაზე არ წავიდოდა და რომ რვიანის მცდელობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით უშედეგოდ დასრულდებოდა. შესაბამისად, მათი პოზიცია დღეს, როცა რვიანი დაიშალა, ასეთია: ხელისუფლებამ გაიმარჯვა. მან დროში მოიგო და ოპოზიიცის ამ ნაწილის ლუსტრირება კიდევ ერთხელ მოახდინა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საარჩევნო ბარიერის გადალახვის შემთხვევაში ახალი მემარჯვენეები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მლნ ლარის დაფინანსებას მიიღებენ. ეს პირობა თავად ხელისუფლების წინადადებებში დევს. უფრო სწორად კი, ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადებების თანახმად საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საარჩევნო ბარიერს — 5%-ს გადალახავს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარად 1 მლნ ლარს მიიღებს. მათ შორის 300 000 ლარს მიზნობრივად — სატელევიზიო რეკლამების დასაფარად.

სწორედ ამ და სხვა საზოგადოებისთვის ამ ეტაპამდე დახურული საკითხებიდან გამომდინარე პოლიტიკურ და აპოლიტიკურ წრეებში უკვე გაჩნდა საუბრები იმის თაობაზე, რომ რვიანი ხელისუფლებას გაურიგდა და რომ მინიმუმ 1 მლნ ლარად გაიცვალა სახელმწიფო ინტერესები პოლიტიკოსთა ამბიციებზე და დეპუტატის მანდატებზე.

დაბოლოს, რაც შეეხება 1 მლნ ლარს და ახლების პოზიციას, როგორც კაციტაძემ ყოველგვარი გაპრანჭვის გარეშე განაცხადა, ფული ყველა პოლიტიკურ ძალას სჭირდება. ვინც იტყვის, რომ ფული ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას არ სჭირდება, კაციტაძის თქმით, ის უბრალოდ პოლიტიკაში ვერ ერკვევა.

# ნაციონალებთან დაპირისპირებას აზრი არ აქვს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თავდაპირველად, მმართველი გუნდის მიერ შეთავაზებულ წინადადებებში ეწერა, რომ საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საარჩევნო ბარიერს გადალახავს, მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1 მილიონ ლარს საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარად, მათ შორის 300 ათას ლარს მიზნობრივად სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარად. ჟურნალისტებთან საუბარში საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ თუ რომელიმე პარტიას არ უნდა მონაწილეობა მიიღოს იმ ბორდის შექმნაში, რომელიც ამომრჩეველთა სიებს გადაამოწმებს, მაშინ რა ფორმით ან რატომ უნდა დაფინანსდეს მათი საქმიანობა. კუბლაშვილის თქმით, დაფინანსების ნაწილში წინადადება სწორედ რვიანის შემოთავაზებაა, ამიტომ გაუგებარია ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომდგენლის მხრიდან მისი ზნეობრიობის ფარგლებზე საუბარი. ეს განცხადება კუბლაშვილმა რამდენიმე საათით ადრე გააკეთა, სანამ ცესკოში შეთანხმებულ ვარიანტზე ხელმოწერა მოხდებოდა.

გუშინ, დილიდან ოპოზიციის ნაწილმა განცხადებების გაკეთება დაიწყო და უარყოფითი პოზიცია გამოხატა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1 მილიონ ლარით დაფინანსებასთან დაკავშირებით მხოლოდ იმ პარტიებზე, ვინც შეთანხმებას ხელს მოაწერდა. ამის შემდეგ, ახალმა მემარჯვენეებმა განაცხადეს, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებას ყველა პარტია მიიღებს, ვინც არჩევნებზე 5%-იან ბარიერს გადალახავს.

ახალი მემარჯვენეების წევრის მამუკა კაციტაძის თქმით, ხელმოსაწერ ტექსტზე მუშაობისას, მათ უმრავლესობას მიმართეს ინიციატივით, რომ ამოეღოთ შეთანხმების ტექსტიდან ის პუნქტი, რომლის თანახმადაც ბიუჯეტიდან მილიონი ლარის ოდენობის დაფინანსებას მხოლოდ შეთანხმებაზე ხელმომწერი პარტიები მიიღებდნენ.

კიდევ ერთი სიახლე დეპუტატთა რაოდენობის 190-მდე გაზრდას შეეხება. ამ საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილებები მომზადდება. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ დეპუტატთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილება მომზადდება და პარლამენტში ინიცირებული იქნება.

წლების წინ, დეპუტატთა რაოდენობის შემცირება რეფერენდუმის გზით მოხდა, რის შედეგადაც მეშვიდე მოწვევის პარლამენტში 150 დეპუტატი ზის. რეფერენდუმთან დაკავშირებულ საკითხზე კონკრეტულ კომენტარს პავლე კუბლაშვილი ამჟამად არ აკეთებს. იგი რეფერენდუმთან დაკავშირებულ საკითხზე განმარტებას მოგვიანებით გააკეთებს.

მმართველი გუნდის წინადადება ასეთია: საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა არის 190. აქედან 83 დეპუტატი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო 107 აირჩევა პროპორციული სისტემის საფუძველზე.

იურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარების საფუძველზეა შესაძლებელი.

რა წერია „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანულ კანონში? ამ კანონის მიხედვით, რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმით. ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადება არ იქნება საკმარისი. სავარაუდოდ, ამ პარლამენტს რეფერენდუმის შესახებ ორგანულ კანონშიც მოუწევს ცვლილებების შეტანა. როგორი იქნება კონკრეტული ფორმულირება, ამაზე დღეს არავინ საუბრობს.

იურისტების ნაწილი განმარტავს, რომ რეფერენდუმის ჩატარების გარეშე პარლამენტს მხოლოდ დეპუტატთა რაოდენობის შემცირება შეუძლია, გაზრდის უფლება კი არა აქვს.

ამდენად, გუშინ ერთი შეთანხმებისა და ერთი უთანხოების შესახებ გაკეთდა განცხადება. შეთანხმებას მმართველ გუნდთან ერთად რვიანიდან ახალმა მემარჯვენეებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა მოაწერეს ხელი, უთანხმოება კი — რვიანის დაშლა იყო.

რვიანს დიდი დღე რომ არ ეწერა, ეს თავიდანვე ჩანდა. 8-თვიანი ერთად ყოფნის შემდეგ რვანს ორი წევრი გამოაკლდა. ქრისტიან-დემკრატების ერთ-ერთი ლიდერის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, ახალი მემარჯვენეების გადაწყვეტილების შემდეგ, ოპოზიციური „რვიანი“ ისტორიის კუთვნილება გახდა.

— რვიანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით და მისი ფუნქცია უკვე ამოწურულია. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია რვიანზე წარსულში ვისაუბროთ, — ასეთია ლალიაშვილის მოსაზრება.

რაც შეეხება ოპოზიციის დანარჩენ ნაწილს, ქართული დასი რვიანის წევრი არასდროს ყოფილა, ბაღათურიას რვიანის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება აქვს.

ჯონდი ბაღათურიას შეფასებით, ინდივიდუალური მოლაპარაკებებიდან ინდივიდუალური „გადაგდების ჟამი“ დადგა.

ჟურნალისტებთან საუბარში ბაღათურიამ განაცხადა, რომ ოპოზიციურმა რვიანმა, როგორც კოლექტიურმა ორგანომ თავის ფუნქცია ამოწურა, რადგან ხელისუფლებას შეჰპირდნენ და დაპირებისამებრ პოლიტიკურად აქტიური შემოდგომა და გაზაფხული გადააგორებინეს.

— ისინი დაკონსტრუქციულები ელოდნენ, რომ ხელისუფლება რვიანს შეინარჩუნებდა და თითოთითო მანდატს მისცემდა, — განაცხადა ბაღათურიამ.

ქართული დასის ლიდერი პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებითაც საუბრობს და კითხვას სვამს: „სლენგს ვიხმარ, რატომ უნდა მოხდეს პარტიების დაფინანსება „პოსლეზე“? პარტიას ფული მაშინ უნდა, როცა წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს, მაშინ ვბეჭდავთ ბუკლეტებს და ა.შ. ეს გადაწყვეტილება კი იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას უკვე ნაშოვნი აქვს ფული ან ხელისუფლებაში ყოფნის დროს ან „ტეხასმოტრებით“. ახლა კი ძველი, კორუფციული ფულით უნდათ უპირატესობა მოიპოვონ დანარჩენ ოპოზიციაზე, ისეთ პარტიაზე როგორიც — ქართული დასია — აღნიშნა ბაღათურიამ.

მართალია, ჯერ წინასაარჩევნო კამპანია არ დაწყებულა, მაგრამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულმა საკითხმა გუშინ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი გამოაცოცხლა. რვიანი ექვსიანად გადაიქცა. შექმნის თუ არა ექვსი პოლიტიკური სუბიექტი პოლიტიკურ ბლოკს ან გაერთიანებას, ეს ცოტა ხანში გახდება ცნობილი.

გამორიცხული არ არის, რომ ექვსი პარტია, რომელიც ხელისუფლების შეთავაზებას არ დათანხმდა, წინასაარჩევნოდ ერთიან ბლოკად ვიხილოთ. თუმცა, ამის დანამდვილებით თქმა ჯერ ნაადრევია, რადგან წინ ერთი წელია და ამ პერიოდში ლიდერებს მოსაფიქრებლად და ერთმანეთის შანსების შესაფასებლად საკმაოდ ბევრი დრო აქვთ.

# საერთაშორისო სასამართლომ ლიბიის ლიდერის დაკავების ორდერი გასცა

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ლიბიის ლიდერის, მოამარ კადაფის დაპატიმრების საერთაშორისო ორდერი გასცა.

მას ლიბიაში მიმდინარე ოპერაციების დროს ჰუმანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ბრალდებები აქვს წაყენებული.

ანალოგიური ბრალდებები, კერძოდ, დემონსტრანტების წინასწარგანზრახვით მკვლელობის ბრალდებები აქვს წაყენებული კადაფის ვაჟს საიფ ალ-ისლამს, აგრეთვე დაზვერვის სამსხურის უფროსს აბდულა სენუსის.

მათზე ასევე დაპატიმრების საერთაშორისო ორდერია გაცემული.

ორდერის გაცემის გადაწყვეტილება საერთაშორისო სასამართლოს სამკაციანმა კომისიამ სასამართლოს პროკურორის, ლუის მორენო-ოკამპოს მიმართვის შემდეგ მიიღო. სასამართლოს მან გაეროს უშიშროების საბჭოს თხოვნით მიმართა.




ლიბიაში იმავდროულად, არ წყდება ბრძოლები მეამბოხეებსა და სამთავრობო ჯარებს შორის. მეამბოხეების წარმომადგენელმა ბიბისის ინტერვიუში აღნიშნა, რომ ახლო მომავალში გადაწყვეტილი აქვთ ტრიპოლის აღება, სადაც კადაფის ერთგული ჯარები არიან თავმოყრილი. ბრძოლები ტრიპოლიდან 80 კმ-ის დაშორებით მიმდინარეობს.

გარცელებული ცნობების თქმით, სამთავრობო ჯარებმა ტრიპოლისაკენ მიმავალი მეამბოხეებისათვის გზის მოჭრა სცადეს. ბრძოლის დროს 2 მეამბოხე დაიღუპა. სამთავრობო ჯარებმა მძიმე ზარალი განიცადეს, თუმცა, ეს ინფორმაცია დამოუკიდებელი წყაროებით არ დადასტურებულა.

ორშაბათს ლიბიის ოპერაციის დაწყებიდან 100 დღე შესრულდა. ლიბიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს თანახმად, კვირას საერთაშორისო კოალიციის ჯრებმა ტრიპოლის ცენტრში ახალი დარტმები განახორიელეს.

ლიბიის ეროვნული გარდამავალი საბჭოს თავდაცვის მინისტრის, ჯალალ დგელის თქმით, იარაღის და საჭურველის დეფიციტის გამო მეამბოხეები იძულებული არიან თავიანთ ძალებს ტრიპოლის დასავლეთით მოუყარონ.

უახლოეს მომავალში მეამბოხეები შეტევის აღმოსავლეთ მიმართულებიდან განვითარებასაც იმედოვნებენ.

კვირას ლიბიის მთავრობამ ხელისუფლების სათავეში მოამარ კადაფის დატოვების საკითხის რეფერენდუმით გადაწყვეტის იდეა გამოთქვა.

კადაფის პრესმდივანმა მუსა იბრაჰიმმა მოსახლეობას ეროვნული დიალოგის დაწყებისაკენ და გაეროსა და ავღანეთის კავშირის მეთვალყურეობით არჩევნების გამართვისაკენ მოუწოდა.

მუსა იბრაჰიმის თქმით, ლიბიელმა ხალხმა თუ გადაწყვიტა, რომ კადაფი უნდა გადადგეს, იგი გადადგება, ხოლო თუ დატოვებას გადაწყვტს — დარჩება.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ კადაფი, რომელიც ქვეყანას 1969 წლიდან მართავს, ქვეყნის დატოვებას არ აპირებს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# საქართველოში კლასიკური დიქტატურა მყარდება

## ამ ქვეყანას ნაციონალებს არ დავუთმობთ

შორენა კოწოწაშვილი

**კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილი სამოქალაქო და პოლიტიკურ სპექტრს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, საქართველოში თანდათან საკმაოდ მაღალი ტემპით მკვიდრდება სრული კლასიკური დიქტატურა. ქვეყანა სააკაშვილის კადაფად რეინკარნაციის სტადიაშია შესული.**

ჩხარტიშვილი აუცილებლად მიიჩნევს საზოგადოებრივი სამოქალაქო კომისიის შექმნას, რომელიც 26 მაისის მოვლენებს გამოიძიებს. ოპოზიციონერო თვლის, რომ სააკაშვილს და მერაბიშვილს ბურთი და მოედანი არ უნდა დარჩეთ, რომ 26 მაისის მოვლენები ისე გამოიძიონ, როგორც მათ სურთ და ამაზე ობიექტური დასკვნა უნდა დაიდოს.

გთავაზობთ ინტერვიუს კონსერვატორ **ლაშა ჩხარტიშვილთან:**

***— ბატონო ლაშა, ბევრი ფიქრობს, რომ ოპოზიციის არასწორი ნაბიჯების გამო სააკაშვილი კიდევ უფრო გაძლიერდა და დიქტატურის ხელი დაატყო ეროვნულ კანონმდებლობას. ასეა?***

— ამ ეტაპზე სააკაშვილი თავს გამარჯვებულად მიიჩნევს. რაც რეალობას არ შეესაბამება. ვფიქრობ, აქ გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მძიმე შედეგებიც იქნება. სააკაშვილი ამ ეტაპზე თვლის, რომ რადგან ფიზიკურად გაუსწორდა ასობით ადამიანს, უამრავი ადამიანი დააპატიმრა და ძალიან ბევრი დახოცა, ამით ქართულ საზოგადოებაზე გაიმარჯვა. ამიტომ ის მასობრივ რეპრესიებს ახორციელებს, ეს გამოიხატება არა მხოლოდ იმ ადამიანების დარბევა-დაპატიმრებაში, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც ციხეშია, ადმინისტრაციული პატიმრობით. ნაწილს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. ჩვენ ვიხილეთ „ბოროტი ძიას“ ანგარიშსწორება ქართული პარტიის წევრების მიმართ. არაერთი სხვა პარტიის წევრი იქნა დაპატიმრებული. მათ შორის ჩემი დაპატიმრების ფაქტიც შემიძლია მოვიყვანო. დააპატიმრეს აგრეთვე კონსერვატორული პარტიის საგარეჯოს ორგანიზაციის თავმჯდომარეც. ათასზე მეტ ადამიანთან ხორციელდება პირდაპირი ტერორი, რაც უკანონოდ ტარდება. ეს არის ე.წ. გასაუბრებები, რომელიც ტარდება მთელი საქართველოს მასშტაბით პოლიციის განყოფილებებში, სადაც ადამიანებს ატერორებენ და ცდილობენ ჩაუხშონ ყოველგვარი სურვილი, იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის, საკუთარი ქვეყნისთვის. არაერთ პრინციპულ ადამიანზე ზეწოლის ფაქტი ვიხილეთ, მათ შორის ადვოკატ ქეთი ბექაურზე. მას ჯერ მანქანა დაუმტვრიეს, მერე პატრულმა მასზე უკანონო ზეწოლა განახორციელა, შემდეგ ოფისში შეუვარდა სავარაუდოდ კუდის თანამშრომელი, რომელიც გაეცნო, როგორც შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი და საკონტაქტო ნომერიც კი არ დატოვა, ისე დატოვა ბექაურის ოფისი, რომელზეც მუქარას ახორციელებდა. ასეთი მაგალითები სხვა ადვოკატების მიმართაც გახშირდა ბოლო პერიოდში. აშკარა და დაუფარავი ტერორი მიდის მედიაზე და ის, რაც მედიაპალიტრაში მოხდა, ამის მაგალითია. ზეწოლა ხორციელდება ქალბატონ მეარყიშვილზე, რომელიც, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ახალგორის რაიონის მოსახლეობის არაოფიციალური ომბუდსმენია. იმიტომ, რომ ის აღარ არის მარტო კულტურის სახლის ხელმძღვანელი. ის აქტიურად იცავს საქართველოს მოქალაქეებს როგორც სააკაშვილის რეჟიმისაგან, ასევე ოკუპანტების მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ნაბიჯებისაგან. ახალგორის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეები პრაქტიკულად აღარ დარჩნენ, რაც უფრო გაუადვილებს ოკუპანტებს ამ ტერიტორიის საბოლოო ოკუპაციას. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს შეთანხმებული ქმედებაც იყოს პუტინის ხელისუფლებასა და სააკაშვილის მმართველობას შორის, რათა საბოლოოდ გაუწმინდოს სააკაშვილმა ქართული მოსახლეობისგან ეს ტერიტორია. რაც ყველაზე მთავარია, სააკაშვილი ცდილობს პარლამენტს შეასრულებინოს მორიგი დანაშაულებრივი დავალება, რაც დიქტატურის დაკანონებას გულისხმობს. სააკაშვილს არ უნდა, საზოგადოებას ჰქონდეს უფლება, პროტესტის მშვიდად გამოხატვის. სწორედ ამას ემსახურება ანტიკონსტიტუციური წინადადებების პაკეტი, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების სახით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების აკრძალვის შესახებ. კანონში შეტანილი ცვლილებები პრაქტიკულად სააკაშვილს და მერაბიშვილს საშუალებას აძლევს, დავალება მისცენ საკუთარ მონა-პოლიციელებს, დაარბიონ ყველა აქცია-მიტინგი, რომელიც ხელისუფლებისთვის მისაღები არ იქნება არ პოლიტიკური თვალსაზრისით მათთვის პრობლემის შემქმნელი იქნება. ხაზს ვუსვამ, პოლიტიკური და არა სამართლებრივი თვალსაზრისით. ვგულისხმობ ჩანაწერს, რომლის თანახმადაც ციტირებას ვახდენ — შესაბამისი ორგანო ვალდებულია დაიცვას ბალანსი შეკრების თვაისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, ვინც ცხოვრობს, მუშაობს, ვაჭრობს და ბიზნესი აქვს იმ ადგილებში, სადაც საპროტესტო შეკრება მიმდინარეობს. ამის შესაბამისად შეიძლება დაწესდეს დროის და ადგილის შეზღუდვა. მოხდეს ალტერნატიული ადგილის შეთავაზება. აქედან ჩანს, რომ რეალურად საქმე გვაქვს იმგვარ სიტუაციასთან, როდესაც სააკაშვილმა ან მისი დავალებით ვანო მერაბიშვილმა შეიძლება აიძულოს მომიტინგეები დატოვონ ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორია ან სხვა ადეკვატური სივრცე, სადაც მიტინგის ჩატარებას აზრი ექნებოდა და სადაც ადამიანები დაინახავდნენ, რას აპროტესტებენ მათი თანამოქალაქეები. ამ მუხლით შეიძლება აქციის მონაწილეები აიძულონ, წავიდნენ ტყეში. თბილისთან ყველაზე ახლოს მაინც კოჯრის ტყეა და შეიძლება იქ გაუშვან აქციის ჩატარებისთვის. ეს არ არის უტრირება. ადვილი შესაძლებელია აკო მინაშვილის სიდედრი ან მისი სიდედრის სულიერი და იპოვონ, რომელიც იტყვის, რომ აქცია მათ ხელს უშლის მშვიდ ცხოვრებაში ან ვაჭრობაში. ვაჭრობით კი ისინი ძირითადად სამშობლოთი ვაჭრობენ. ისე, გამორიცხული არ არის, მინაშვილის სიდედრმა სხვა რამითაც დაიწყოს ვაჭრობა, მაგალითად, გამოაცხადოს, რომ აქვს ჯიხური და აქცია ხელს უშლის მოქალაქეებმა დაინახონ ვიტრინაში თუნდაც სიგარეტი. ეს ყველაფერი რეალურად შეიძლება მოხდეს. მართლა შეიძლება მოსთხოვონ აქციის მონაწილეებს კოჯრის ტყეში ან გარეჯის უდაბნოში გადასვლა.

***— რატომ მაინცდამაინც ტყეში შეიძლება გაამწესონ აქციის მონაწილეები ან უდაბნოში?***

— უკაცრიელ ადგილას ხაზს ვუსვამ ერთადერთი მიზეზის გამო: ფორმულირება ამ მუხლისა ისეთია, რომ ნებისმიერ იმ ადგილას, სადაც სულიერის ჭაჭანებაა, ვილაცას სძინავს, ცხოვრობს, ვაჭრობს — შეიძლება პოლიციელებმა გამოაცხადონ, რომ იქ ადამიანებს ხელს უშლიდნენ სიგარეტით ვაჭრობაში, ძილში და ამის გამო აიძულონ ადამიანები დატოვონ ეს ტერიტორია და წავიდნენ სხვაგან. სხვაგანაც იპოვიან ადამიანს, თუნდაც საკუთარი ოჯახის წევრს დააწერინებენ, მსგავს განცხადებას და საბოლოო ჯამში, მართლაც იქამდე მივალთ, რომ უკაცრიელი ადგილის გარდა, ყველა სხვა ადგილას აქციის შეწყვეტას მოითხოვენ და შემდეგ დაარბევენ. მხოლოდ იმ ორგანიზაციების აქციებს არ დაშლიან, რომელიც ხელისუფლებისთვის იქნება მისაღები და რომლებიც ნაკლებაქტუალურ საკითხებს გააპროტესტებენ.

***— ხელისუფლება ამ გზით აიძულებს ადამიანებს, შეწყვიტონ სამოქალაქო აქტივობა?***

— რა თქმა უნდა, სააკაშვილს არ აწყობს საქართველოს მოქალაქეებმა ვიბრძოლოთ ჩვენი უფლებებისთვის და დემოკრატიისთვის; საკუთარი სიცოცხლისა და სამშობლოსთვის. სააკაშვილს უნდა ყველაფერი მონური მორჩილებით ავიტანოთ, რასაც ვერ მიაღწევს. ადრე ადამიანებს სპეცოპერაციების დროს ხოცავდნენ, ახლა პირდაპირ მიტინგებზე დაიწყეს ხოცვა. თუ ეს კანონი იქნა მიღებული აქციებისა და მანიფესტაციების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტი მონდომებით განახორციელებენ ზეწოლას მომიტინგეებზე, ვიდრე ამას ადრე აკეთებდნენ. ფორმალურად ეს იქნება კანონიერი, ოღონდ კანონიერი ფაშისტური, კომინისტური საზომით და არაკანონიერი საქართველოს კონსტიტუციის და ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად.

***— ანუ რეალურად პროტესტის უფლების წართმევა ხდება ახალი საკანონმდებლო ნორმებით?***

— რა თქმა უნდა. ამის გამო აუცილებლად უნდა იქნეს სათანადო პროტესტი გამოთქმული. ხალხს უნდა აიძულოს პარლამენტი, უარი თქვას ამ კანონის მესამე მოსმენით მიღებაზე. საზოგადოების აქტიურობამ სააკაშვილს ხელი უნდა ააღებინოს კანონის ხელმოწერაზე. თუმცა, თუ ეს მცდელობა წარმატებით არ დასრულდა, რისი ალბათობაც ბუნებრივია არსებობს და საზოგადოება არ იქნება აქტიური, მათ შორის პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მაინც დაუშვებელია დამორჩილება ამგვარი კანონმდებლობისადმი. იმიტომ, რომ ეს ნიშნავს, რომ საქართველო საბოლოოდ იძირება დიქტატურის ჭაობში. დღეს თუ ჩვენ ავტორიტარიზმიდან გადასული ვართ მოდერნისტული დიქტატურის რეჟიმში, სადაც დემოკრატიული ფასადის მცირე მოცულობის ელემენტები მაინც შემორჩა, თანდათან ეს ელემენტები ფასადიდან ცვივა და ჩვენ ყველანი მივექანებით მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის კლასიკურ დიქტატურად გადაქცევისაკენ. სააკაშვილის სრული კადაფიკაციისკენ. სააკაშვილი რომ სულიერად კადაფის ძმაა, პუტინის ძმაა ეს ფაქტია. იმიტომ, რომ ერთის მხრივ მას პუტინის მსგავსად სურს უსასრულოდ გაიგრძელოს მმართველობის უფლება, ისევე როგორც კადაფი აკეთებდა ამას, მეორეს მხრივ, ის მზად არის საკუთარ ხალხს იარაღით ხელში დაუპირისპირდეს და ყველა მშვიდობიანი პროტესტი ჩაახშოს. მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩუმ შეგუებას საკუთარი სოცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასთან; ადამიანის უფლებების დარღვევასთან; ჩუმ შეგუებას შიმშილთან და სამუშაო ადგილების წართმევას, რათა მხოლოდ სააკაშვილმა, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა აკეთონ მილიონები მირჩევნია, არ შევეგუო და პროტესტი გამოვხატო. ჩვენ ვართ ახლა მიჯნაზე, როდესაც უკვე თანდათან საკმაოდ მაღალი ტემპით მკვიდრდება სრული კლასიკური დიქტატურა. ქვეყანა სააკაშვილის კადაფად რეინკარნაციის სტადიაშია შესული. მოკლე პერიოდში თუ არ მოხდება საზოგადოების, უფლებადამცველების და პოლიტიკური პარტიების ძალების მაქსიმალური კონსოლიდაცია, ჩვენ ვერ შევძლებთ შევაჩეროთ ერთის მხრივ ძალადობა, მეორეს მხრივ გადავიდეთ კონტრშეტევაზე და ეს შეტევა ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანოთ. ეს უნდა გამოიხატოს სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშბილის, რურუას, კახა ბენდუქიძის და სხვა დამნაშავე პირების საბრალდებო სკამზე დასმით. შემდეგ — შესაბამისი ვადით პატიმრობით. აქვე მინდა გითხრათ, რომ ბრძოლა არ მთავრდება. ეს ბრძოლა უნდა დასრულდეს ამ რეჟიმის დემონტაჟით.

***— ბევრი ფიქრობს, რომ ხელისუფლება ისე გაძლიერდა, რომ ამ მარწუხებიდან გამოსვლა საზოგადოებას ძალიან გაუჭირდება.***

— ვითარება არის უმძიმესი, შეიძლება ითქვას, ტრაგიკულიც, მაგრამ გამოსავალი არსებობს. გამოსავალი არის მაქსიმალურად გამოვლენილ ერთობაში, კოორდინაციაში ქართველი საზოგადოების შიგნით. ამ შემთხვევაში მის ყველა სეგმენტს ვგულისხმობ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე პოლიტიკურ სპექტრს. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ცინიზმის მწვერვალი იყო ფილმი, რომელიც ყველას ერთად შემოგვთავაზეს. თითქოს ამ ფილმის მიზანი უნდა ყოფილიყო საქართველოს სიმართლის დანახვენა მთელი მსოფლიოსთვის და რუსული აგრესიის წარმოჩენა, სინამდვილეში ამ ფილმის ერთადერთი მიზანი იყო ლაჩარი მიხეილ სააკაშვილის გმირად წარმოჩენა. იმ ლაჩარი სააკაშვილის, რომელიც გორში ფორთხავდა და მიატოვა სტუმარი და ძლივს დააკავეს საკუთარი დაცვის წევრებმა. ამასთანავე ამ საქმეში, რაც ყველაზე მძიმეა მორალური თვალსაზრისით, აშკარად საააკასვილს ეხმარება ვლადიმერ პუტინი და მისი უახლოესი გარემოცვა. იმიტომ, რომ კაზრეთის მადნეულის მფლობელი კომპანია არის რუსული კომპანიის „პრამიშლენი ინვესტორის“ შვილობილი კომპანია, რომლის უკან დგას გენერალოვი. ხოლო ამ ბიზნესში ქართული მხრიდან წარმოდგენილია თემურ ალასანია. ისინი ერთის მხრივ, ფულს აკეთებენ საქართველოს ქონების ხარჯზე, ვგულისხმობ, ქართული ოქროს კაპიკების ფასად მოპოვებას, მეორეს მხრივ — დაგვცინიან და ცდილობენ მოგვაჩვენონ, რომ როგორ არიან სააკაშვილი და რუსული ხელისუფლება დაპირისპირებული. რუსული ფულით დაფინანსდა ეს სამარცხვინო ფილმი „აგვისტოს 5 დღე“, რომლის მიზანია ერთადერთი — სააკაშვილის პირადი რეკლამა და მეტი არაფერი. სააკაშვილი დღესაც რჩება ერთადერთ პირად, ვისაც უმტკიცდება სამშობლოს ღალატი. ეს მუხლი, თავად ამოიღო, როგორც ჩანს, წინდახედულად. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააკაშვილი არის სამშობლოს მოღალატე და ის არის პერსონა, რომელიც ურცხვად გვაყრის თვალში ნაცარს. სააკაშვილი ვაჭრობს, როგორც რუსეთთან ისე სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს სტრატეგიული ინტერესების საწინააღმდეგოდ.

# „თბილისის ლუდის ფესტივალი“ დასრულდა

## „ნატახტარმა“ ევროპული ლუდის ფესტივალების ქართული ანალოგი ტრადიციად აქცია



25-26 ივნისს თბილისის ცენტრში, ვარდების მოედანზე ლუდის დღესასწაული „თბილისის ლუდის ფესტივალი“ გაიმართა. კომპანია „ნატახტარმა“ ევროპული ლუდის ფესტივალების ქართული ანალოგი უკვე ტრადიციად აქცია. რიგით მეორე ფესტივალმა აჩვენა, რომ ახალი ტრადიცია საზოგადოებამ კარგად მიიღო და შეიყვარა. მიზეზმა, რამაც ლუდის მოყვარულები ერთად შეყარა, გაამართლა.

ამჯერად, ფესტივალი თბილისის ტურისტული სეზონის გახსნასაც დაემთხვა. სპეციალურად ამ დღისთვის ორგანიზატორებმა ევროპული ლუდის ფესტივალებზე დახელოვნებული პერსონალი მოიწვიეს. შედეგად, ორი დღის განმავლობაში თბილისის ლუდის ფესტივალს ბავარიულ ფორმაში გამოწყობილი ქალბატონები ემსახურებოდნენ.



ფესტივალი სპეციალური მსვლელობით დაიწყო, რომელმაც სტარტი სასტუმრო „ჰოლიდეი ინიდან“ აიღო და თბილისის სხვადასხვა უბნის გავლით ვარდების რევოლუციის მოედანზე დასრულდა.

წლევანდელი ფესტივალი შარშანდელთან შედარებით გაცილებით დიდი და მასშტაბური იყო. ღონისძიება გვაინ საღამომდე გაგრძელდა და საკონცერტო პროგრამასთან ერთად, მოეწყო უამრავი პრომო აქცია, გათამაშება და კონკურსები. ფესტივალს შეუერთდნენ აგრეთვე სომეხი და აზერბაიჯანელი ტურისტები და მედიის წარმომადგენლები.

ფესტივალზე ყველა მსურველს მოხვედრა უფასოდ შეეძლო.

„წელს ფესტივალზე უამრავი სიახლე შევიტანეთ. „ნატახტარის ლიმონათის“ ორგანიზებით მოეწყო სპეციალური კუთხე ბავშვებისთვის. დაიდგა ქოლგები და მაგიდები, რათა იქ მისულ სტუმრებს კომფორტულად ეგრძნოთ თავი. ორივე დღეს გაიმართა ცოცხალი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: „მგზავრები“, „ფრანი“, „როდრიგესი“, სალომე კორკოტაშვილი და 4 ცნობილი პაბის ბენდი. ფესტივალზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, რაც ნიშნავს, რომ ისინი ელოდნენ და მოსწონთ. გვინდოდა, რომ ლუდის ფესტივალის ტრადიცია დაგვემკვიდრებინა საქართველოში და, ვფიქრობ, ამ მიზანს მივაღწიეთ“, — აღნიშნა „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ნინო სურმავამ.

სტუმრების მხრიდან გაჩნდა იდეაც, მათ ისურვეს, რომ ლუდის ფესტივალი მეტხანს გაგრძელდეს. ცხადია, ეს გრანდიოზული სანახაობა ლუდის მოყვარულებს ძალიან მოეწონათ და 2 დღე ამიტომაც ეცოტავათ.

„თბილისის ლუდის ფესტივალი“ კომპანია ნატახტარის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიების მენეჯმენტი კომპანია „ბეთერფლაიმ“ განახორციელა. ფესტივალის მხარდამჭერები იყვნენ ქალაქ თბილისის მერია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ტურიზმის ეროვნული სააგენტო. ფესტივალის საზოგადოებასთან ურთიერთობა კომპანია „ჯეპრამ“ უზრუნველყო.

# ვინც ხელისუფლებას გაურიგდება, სამუდამოდ დასამარდება

## ეს ხელისუფლება ვინც მოიყვანა, იმანვე უნდა წაიყვანოს

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან**

***— ქალბატონო ნანა, გასულ კვირას თქვენ ბრიუსელში გქონდათ შეხვედრები ევროპელ უფლებადამცველებთან, როგორც ცნობილია, საუბარი 26 მაისის შესახებაც იყო. იქნებ დეტალურად გვიამბოთ ამ ვიზიტის შესახებ?***

— ვიზიტი გვქონდა არა მარტო ბრიუსელში, არამედ სტრასბურგშიც და იქაც შევხვდით ჰამერბერგს. ბრიუსელში იყო დიალოგი ადამიანის უფლებების დაცვაზე და პარალელურად იგივე თემაზე მიმდინარეობდა განხილვა სტრასბურგში; ბუნებრივია, დიდი იყო ინტერესი, რომ მიგვეწოდებინა ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შევაგროვეთ ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში. ჩვენ გვინდოდა გაგვეცნო ინფორმაცია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც უშუალოდ ეხებოდათ საქართველოს ბედი. ევროკავშირში ჩვენ შევხვდით ვისოცკის, რომელიც უშუალოდ მუშაობს საქართველოზე და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა იყო დახურული, მოხერხდა, რომ შესვენების დროს საქართველოზე მომხსენებელი ვისოცკი შეგვხვდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

***— რამდენად ინფორმირებულები არიან და რა რეაქცია ჰქონდათ თქვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე?***

— დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ინფორმირებულები, ვიდრე ჩვენ გვეგონა, იმაზე მეტად არიან, აქვთ ეს ინფორმაციები. თუმცა, ბუნებრივია, რომ ჩვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმიტომ, რომ როდესაც რადიო თავისუფლებამ დადო ეხოკავკასიაზე ვისოცკის ინტერვიუ, ის იქ წერს, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და რომ საქართველოს ხელისუფლებას ალბათ აენთება წითელი იმის გამო, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ხდება საქართველოშიო. ანუ მიუხედავად ინფორმაციის არსებობისა, თითოეულ შეხვედრას, მათთან უშუალო კონტაქტს და მათთვის ინფორმაციის გადაცემას ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა. იქ იყო ირმა ინაშვილიც სტუდია ობიექტივიდან და დავით თარხან-მოურავი წინააღმდეგობის მოძრაობიდან. შეხვედრას ესწრებოდა გია ფოფხაძეც, რომელიც იქ ფრანგულ რადიოში მუშაობს და ასევე ესწრებოდა ქართული დიასპორის წარმომადგენელი. ასე რომ, შეხვედრა მართლაც საინტერესო იყო. ჩვენ ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომელიც საქართველოშია, ასევე ბოლოდროინდელ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქვეყანა მიდის დიქტატურისკენ და რომ ამ ყველაფრის დაკანონება ხდება. ასევე ვისაუბრეთ იმაზე, რომ მანიფესტაციებისა და შეკრებების შესახებ კანონში ცვლილებები ნიშნავს მიტინგების აკრძალვას. ხოლო ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანი თემა ჩვენთვის იყო 26 მაისი, გარდაცვლილი თუ დაკავებული ადამიანები, ასევე ის ადამიანები, რომელთა მიმართაც დღემდე მიმდინარეობს ზეწოლები, დღემდე მიმდინარეობს დევნა, მიმდინარეობს იდენტიფიცირება იმ ადამიანებისა, რომლებიც მიტინგზე იყვნენ. ჩვენ ამ ყველაფერზე დეტალურად ვისაუბრეთ, საკმარისზე მეტი დრო გვქონდა იმისთვის, რომ ამ საკითხებზე გვესაუბრა.

***— როგორ ფიქრობთ, გამოიღებს შედეგს ეს შეხვედრები?***

— ხომ გითხარით, უკვე რადიო თავისუფლებამ ეხოკავკასიის არხზე დადო ინტერვიუ გადასცა ვისოცკისთან, რომელიც თვითონ საუბრობს ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე. შემდეგ ჩვენ გვქონდა შეხვედრა უკვე 21-ში ჰამერბერგთან. ბუნებრივია, მასაც ჩვენ გადავეცით ჩვენი ანგარიში, მასალები, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. მანაც ასევე ძალიან კარგად იცოდა, რა ხდებოდა საქართველოში და გვითხრა, რომ 30-ში მისი პოზიცია იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით ასახული მის ანგარიშში, რომელიც მის ვებგვერდზე დაიდება. ძალიან მალე ჰამერბერგის ანგარიშიც იქნება გამოქვეყნებული და დავინახავთ, რამდენად შედეგიანი და წარმატებული იყო ჩვენი შეხვედრები როგორც ევროკავშირში, ისე ევროსაბჭოში. თუმცა ჩვენ ისიც აღვნიშნეთ იქ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით რევოლუციის პირველი წლებისგან, დღეს დასავლეთმა უკვე დაინახა და დაიჯერა ის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ატარებს; მიუხედავად მათი კრიტიკისა და შეფასებებისა, ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი იცვლება. ასევე ჩვენ იქ ვუთხარით, რომ ეტყობა საჭიროა უფრო სხვა ზემოქმედების ბერკეტები ამ ხელისუფლებაზე, რომ ეს პოლიტიკა შეიცვალოს და საზოგადოებამ შეძლოს ელემენტარული უფლებების გამოყენება და ჩვენ ამ მიმართულებითაც ვისაუბრეთ. ასევე ვისაუბრეთ იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ვგეგმავთ საქართველოში დიდ საერთაშორისო კონფერენციას, სადაც მოწვეულები გვეყოლება მთელი მსოფლიოდან ცნობილი უფლებადამცველები. ჩვენ ვაგროვებთ მასალებს იმისათვის, რომ ამ კონფერენციის მონაწილეებს გავაცნოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და უკვე საერთაშორისო დონეზე უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლების დონეზე შევაფასოთ ის თუ რა ხდება საქართველოში. ასევე ჰამერბერგს ვთხოვეთ, რომ ჩამოვიდეს და დაესწროს ამ კონფერენციას. ეს იყო ზოგადად ჩვენი შეხვედრის მიზანიც და შინაარსიც.

***— 26 მაისიდან ერთი თვის თავზე, ადამიანის უფლებადამცველები აქტიურად მოითხოვენ, რომ შეიქმნას ობიექტური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც გამოიძიებს 26 მაისს მომხდარ ფაქტებს. რამდენად რეალურია და შესაძლებელია ეს ამ პირობებში?***

— აი ამ ჯგუფზეც ვისაუბრეთ ჩვენ იქ. მე ვუთხარი, რომ ეს არის ენა, რომელიც დასავლეთისთვის გასაგებია, რომ ჩვენ ვითხოვთ საგამოძიებო ჯგუფის შექმნას. ჯერ ერთი, ამ ჯგუფის შექმნას არანაირი პირი არ უჩანს ქვეყანაში და მეორე, რომც შეიქმნას, არ არის არანაირი გარანტიები და არ არის არანაირი შესაძლებლობა იმისა, რომ ეს იყოს ობიექტურად გამოძიებული და მართლაც იქნან დასჯილი დამნაშავეები. თუ ეს იქნება ადგილობრივი ძალით გამოძიებული, ადგილობრივი სტრუქტურების მიერ იქნება გამოძიებული, ამას არანაირი სწორი და მართებული შედეგი არ ექნება. თუმცა ჩვენ სხვა არაფერი არ დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები იქნენ დასჯილნი და ეს იყოს გამოძიებული. ჩვენ ვთხოვეთ, რომ თუ არის შესაძლებელი საერთაშორისო დონეზე მოხდეს ამის გამოძიება, ჩაერთონ ისინიც ამ გამოძიებაში, რომ დადგინდეს, საერთოდ რა იყო ეს დარბევა, რა ხასიათის იყო, ეს იყო მიტინგის დაშლა თუ ეს იყო ანგარიშსწორება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ. ანუ მოხდეს ჯერ შეფასება იმის, რა



ჩაიდინა ხელისუფლებამ, დაიდოს დასკვნა უფლებადამცველების მიერ და შემდეგ ამის მიხედვით დაიწყოს საგამოძიებო მოქმედებები. რა თქმა უნდა, ის ამას უსმენდა ძალიან დიდი ყურადღებით და სწორედ მაშინ გვითხრა, რომ ჩემი ანგარიში, რომელიც 30-ში გამოქვეყნდება, ალბათ საინტერესო იქნება თქვენთვისაცო. იმედი მაქვს, რომ ეს დასკვნა იქნება ობიექტური და ობიექტურად ასახავს იმ მდგომარეობას, რაც ქვეყანაშია.

***— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას ეს ყველაფერი ნაკლებად ადარდებს და აღელვებს...***

— იცით, შეიძლება ეს ასე ჩანს, რომ ნაკლებად ადარდებს და აღელვებს, მაგრამ, მე მგონი, რომ ჰააგის სასამართლოს შედეგები და იქ მიმდინარე პროცესები, არ უნდა აღელვებდეს ხლისუფლებას ნაკლებად. არ არის გამორიცხული, რომ ამ 26 მაისის მასალებიც იქ იქნეს გადაგზავნილი, როგორც დამატებითი მტკიცებულება იმისა, თუ როგორ ექცევა საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ხალხს და რა მდგომარეობაში ჰყავს საკუთარი მოსახლეობა. ასე რომ, მათთვის სულ ერთი იყოს, რა და როგორ იქნება, არა მგონია.

***— რაც შეეხება მეორე საკითხს, გასულ კვირას ხელისუფლებამ რვიანს საკუთარი შეთავაზებების პაკეტი წარუდგინა, რომელიც ამ ეტაპზე ახალი მემარჯვენეებისთვის და ქრისტიან-დემოკრატებისთვის გახდა მისაღები. საზოგადოების დიდმა ნაწილმა კი ხელისუფლების წინადადებები არაკონსტიტუციურად და რვიანის დაცინვადაც კი შეაფასა, როგორია თქვენი პოზიცია ამ ყველაფერზე?***

— ეს შეთავაზება არ არის, ეს არის ის, რითაც ხელისუფლება საბოლოოდ აცხადებს იმას, რომ ის არჩევნების გზით არ ფიქრობს ხელისუფლების დატოვებას, რომ ის არ მიდის იმაზე, ხალხს მიეცეს არჩევანის უფლება. ეს არ არის მხოლოდ რვიანის დაცინვა. ჩემი აზრით, რვიანი აქ ყველაზე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. საინტერესოა თვითონ ხელისუფლების ხედვა ამასთან დაკავშირებით, რომ ხალხის აზრი, ხალხის ხმა, ხალხის ნება თუ ვინ აირჩიოს არჩევნებზე, ეს არის იგნორირებული და პრიორიტეტი ენიჭება იმას, ვისთან ითანამშრომლებს სახელისუფლო გუნდი, ვისთან მოილაპარაკებს, რას შეთანხმდებიან და როგორ გაიყოფენ პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობას. თქვენ იცით, რომ 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგები არავის არ გაუუქმებია და რომლის შედეგების თანახმადაც დეპუტატთა რიცხვი შემცირდა და გახდა არა უმეტეს 150 დეპუტატისა. რეფერენდუმის შედეგების შეცვლა მხოლოდ რეფერენდუმს შეუძლია და სხვას არაფერს. გარდა იმისა, რომ ეს არის დაცინვა, ეს არის კონსტიტუციის უხეში დარღვევა, როდესაც იქ საუბარია 190 დეპუტატზე. 40 დეპუტატით გაზრდა, ეს არის არაკონსტიტუციური, ეს არის რეფერენდუმის შედეგად მიღებული რიცხვი და ხელისუფლებას ამის შეცვლის არანაირი იურიდიული უფლება არა აქვს. მიუხედავად ამისა, ის ბედავს და პირდაპირ დებს პაკეტში ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაგრამ ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ მიუხედავად მისი ანტიკონსტიტუციურობისა, ის მაინც მიაღებინებს ამას პარლამენტს. რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე მზად ვართ, რომ ეს გავასაჩივროთ არა მარტო ადგილობრივ დონეზე, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ბრძოლა ჩვენი ღირსებისთვის, ჩვენი უფლებებისთვის და იმისთვის, რომ შევქმნათ პრეცედენტი ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებისა არჩევნების გზით, ამ მიმართულებით ბრძოლას პირადად მე, ჩემი ორგანიზაცია და სამოქალაქო საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ვფიქრობთ, რომ არჩევნები არის სწორედ საზოგადოებისთვის საშუალება გააკეთოს თავისი არჩევანი, ამისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ.

***— გაკეთდა შეფასებები, რომ ხელისუფლება ამით რვიანის მოსყიდვას ცდილობსო...***

— იცით, მე რვიანის სახელით ნამდვილად ვერ ვილაპარაკებ და ვერც ვერანაირ გარანტიებს მათი სახელით ვერ მოგცემთ, მაგრამ შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ვინც ამ გარიგებაზე წავა, ის სამუდამოდ დასამარდება და გახდება პოლიტიკური გვამი. მოხვდება ის პარლამენტში თუ არ მოხვდება, ის იქნება პოლიტიკური გვამი და პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაშიც ველარ შეძლებს ამტკიცოს, რომ მე ვარ ოპოზიცია და ა. შ. და ა. შ. ცალსახა იქნება, რომ ის არის ხელისუფლების თამაშში ჩართული, გარიგებით, კორუფციულად ჩართული პოლიტიკური ძალა და რომ მას არანაირი კავშირი არა აქვს ოპოზიციასთან და რა თქმა უნდა, ხალხთან.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ ხელისუფლება არ აპირებს არჩევნების გზით წასვლას. ჩვენ ვნახეთ საპროტესტო გამოსვლები რა შედეგითაც დასრულდა... ამ ყველაფრის შემდეგ რაში ხედავთ გამოსავალს?***

— დასავლეთში. დასავლეთის რეაგირებაში. თქვენ იცით, რომ არც შევარდნაძის დროს არ მომხდარა ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით. ის რევოლუციის სპექტაკლი, რომელიც 2003 წელში დაიდგა, მას რომ არ ჰქონოდა დასავლეთში ისეთი მხარდაჭერა, როგორიც ჰქონდა, ბუნებრივია, დღეს ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. აქედან გამომდინარე მე მიმაჩნია, რომ ვინც მოიყვანა ეს ხელისუფლება, სწორედ მანვე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ როგორც მოიყვანეს, ისე წაიყვანონ. როდესაც მათ იციან, რომ ეს ხელისუფლება არამც თუ დემოკრატიის მიმართულებით ვითარდება, არამედ გახდა ჩაკეტილი და ის საერთოდ არ უსმენს ხალხს, არ აინტერესებს ხალხის ნება და ხალხს არა აქვს სხვა გამოსავალი, ან სხვა შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი ძალა ამ თავსმოხვეული ხელისუფლებისგან გასათავისუფლებლად. ამიტომ მე მგონი, დასავლეთის ვალდებულებაც არის გარკვეულწილად იყოს ობიექტური, იყოს ხალხის მხარეზე, როგორც კეთდებოდა ამის შესახებ განცხადებები, რომ ჩვენ დავიკავებთ ხალხის მხარეს და ვიქნებით ხალხის ნების გამომხატველებიო. მათ უნდა იცოდნენ, რომ დღეს ხელისუფლება ახერხებს იმას, რომ მიტინგებიც აკრძალოს, რადგან კანონში შეტანილი ცვლილებები სწორედ აკრძალვას ნიშნავს და არა ცვლილებებს. ეს ყველაფერი უნდა იქნეს გათვალისწინებული და დასავლეთმა უნდა მოახერხოს, რომ ამ ხელისუფლებისგან გაათავისუფლოს ქართველი ხალხი. მე ვგულისხმობ იმ მხარდაჭერას, რომელი მხარდაჭერაც მათ აღმოუჩინეს 2003 წელს ხალხს და რომელი მხარდაჭერაც მათ აღმოუჩინეს სხვა ქვეყნებში იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთივე მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხსაც. ქართველმა ხალხმა, მე მგონი, ეს დაიმსახურა, რომ მათ არანაკლები ყურადღება ჰქონდეთ დასავლეთისგან, როგორც ეს ჰქონდათ სხვა ქვეყნებს. ჩვენ ცოტა ხნის წინ ვნახეთ, თუ როგორია და რას ნიშნავს დასავლეთის მხარდაჭერა.

# ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს

ნანა მიშელაშვილი

დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს. მათ ეს ინიციატივა გუშინ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს გააცნეს.

დიპლომატიურ კორპუსთან პარლამენტში შეხვედრა, ქართული დასის ინიციატივით გაიმართა. შეხვედრის თემა იყო მედიის მდგომარეობა საქართველოში. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მედიის ის წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა დროს მათზე განხორციელებული ძალადობისა და ზემოქმედების მსხვერპლს წარმოადგენდენ.

ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ უნდა გამოიძიოს თავისუფალ მედიაზე ზემოქმედების ყველა ფაქტი, მათ შორის ის ფაქტები, რომლებიც წარმოდგენილი იყო საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში.

ბაღათურიას თქმით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და დარბევის ფაქტები, ასევე წელს 26 მაისის საპროტესტო აქციის დარბევა, როდესაც სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

— ჩვენი მიზანია დანაშაულის პრევენცია, ამისათვის კი ყველა დამნაშავემ კანონის წინაშე სამართლიანად უნდა აგოს პასუხი. თითქმის 4 წელია არ გამოძიებულა „იმედის“ დარბევის ფაქტი. ამან ახალ-ახალი დანაშაულის პროვოცირება მოახდინა. ეს ეხება ტელეკომპანიების — „თრიალეთისა“ და „25-ე არხის“, გაზეთების, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობას, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

ამის გარდა, შეხვედრაზე 26 მაისის აქციის დარბევაზეც ისაუბრეს.

— ჩვენ მომსწრე გავხდით ზღვარგადასული სისასტიკისა, თუ როგორ უსწორდებოდა სპეცრაზმი ხელებაწეულ მოქალაქეებს, — განაცხადა ბაღათურიამ 26 მაისს მომხდარ მოვლენების შეფასებისას.

საინიციატივო ჯგუფს, რომლის შემადგენლეობაში არიან დეპუტატები — თამაზ დიასამიძე, პეტრე მამრაძე და კარლო კოპალიანი, შეხვედრა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთანაც ჰქონდა, რომლებმაც პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარი დაუჭირეს.

# ვალტერ შურღაია: „თუ გია უჩავა ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი იყო, შევარდნაძემ გენერლობა რატომ უბოძა?!“

## საქართველოს ახლო წარსულში მომხდარი სისხლიანი ქრონიკები

„არავის აქვს უფლება, უჩავა ისე მოიხსენიოს, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას თანამებრძოლი. ის ჩვენს რიგებში შემოგზავნილი იყო“.

„საკმარისი იყო, ღიად გამოგვეცხადებინა, მზად ვართ აფხაზეთში საბრძოლველადო და მაშინვე ჯაბა იოსელიანი აქტიურდებოდა. აფხაზეთში გადასვლის საშუალებას არ გვაძლევდა. შევარდნაძეს და იოსელიანს არ უნდოდათ, რომ აფხაზეთის ომში მიგვეღო მონაწილეობა“.

„საქართველოში პუტჩი მოხდა და ამაზე ლაპარაკი არავის აწყობს, იმიტომ, რომ პუტჩისტებით სავსეა ოპოზიციაც და ხელისუფლებაც“.

„სახალხო კრების აქცია შეუბრალებლად დაარბიეს და ეს დანაშაულია, მაგრამ რატომ არავინ ამბობს იმას, რომ ჩვენ ას და ორასათასიან მიტინგებს კი არ არბევდნენ, ადამიანებს პირდაპირ ხვრეტდნენ!“.

„ქართული პარტიის“ წევრების დაკავების შემდეგ ქართულმა პროპაგანდამ შეფიცულთა რაზმის ლიდერის, გია უჩავას აღიარებითი ჩვენება კიდევ ერთხელ გაიხსენა, ერთმანეთს მიაბა და ერთი დიდი, რუსული შეთქმულება გამოუვიდა.

ტელევიზიის წინ სახალხო კრების აქციებზე პირველი ინციდენტი მაშინ მოხდა, პოლიციელები აქციიდან გენერალ გია უჩავას გატაცებას რომ შეეცადნენ და, მომიტინგეების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, წაიყვანეს კიდეც. მერე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „შეფიცულების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი უჩავა სამართალდამცავებმა დაამუშავეს და პირველი აღიარებითი ჩვენებაც გაავრცელეს.

ასეთ წვრილ-წვრილად ჩაკაკლულ ვიდეოჩვენებებს და საეჭვო ფარულ ჩანაწერებს, რომლებიც შემდეგ არაფრით სრულდება და მხოლოდ პროპაგანდისტული იარაღია ხელისუფლების ხელში, ჩვენში ყურადღებას სულ უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი აქცევს. გია უჩავას შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ მერე თვითონ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წევრებმა თქვეს, რომ უჩავას არც მაშინ ენდობოდნენ, როცა მათთან ერთად იყო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ვალტერ შურღაია კატეგორიულად აცხადებს, რომ არავის აქვს უფლება, გია უჩავა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წევრად მოიხსენიოს.

**ვალტერ შურღაია:**

— არავის აქვს უფლება, უჩავა ისე მოიხსენიოს, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას თანამებრძოლი. ის ჩვენს რიგებში შემოგზავნილი იყო, მრავალჯერ ვამხილეთ და დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ კი, სამეგრელოდან, გამოაძევეს. ჩემი თანამებრძოლები მკვლელები არ იყვნენ, თორემ შეიძლება მოეკლათ კიდეც. ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო. მე ვუთხარი, წადი აქედან, სანამ დროა-მეთქი და ჩვენგან გაავაძევე.

***— ვინ შემოგიგზავნათ და როგორ? ეროვნულ მოძრაობაში უცებ ჩამოვარდა ციდან? საიდან იცნობდით?***

— სამხედრო კადრის ოფიცერია. უზენაესი საბჭოს სასადილოში გავიცანი პუტჩის დღეებში. ეს ის სასადილოა, რომელსაც რატომღაც ბუნკერს ეძახიან. ის შტაბის უფროსი იყო.

***— რა შტაბის?***

— ის შტაბი სახელდახელოდ იყო შექმნილი. ალყაში ვიყავით. შტაბი აბსოლუტურად არაფერს აკეთებდა. უმოქმედობის გამო უჩავა პრეზიდენტმა გადააყენა და სხვა დანიშნა. როცა უზენაესი საბჭო დავტოვეთ, მე პრეზიდენტი სომხეთის საზღვრამდე მივაცილე, ჩავთვალე, რომ გაყოლას აზრი არ ჰქონდა, აქ დარჩენა ვამჯობინე, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა ჩამომეყალიბებინა. უჩავა კი პრეზიდენტს გაჰყვა.

დაუმორჩილებლობის კომიტეტი შევქმენი. გავიდა დრო, უჩავა ჩემთან, ზუგდიდში რამდენიმე კაცით მოვიდა და მითხრა, კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად მეც ვიბრძოლებო. არ მივიღე, იმიტომ, რომ მანამდე მასზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკან დაბრუნებისას, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმოსვლის შემდეგ, საზღვარზე ცუდად მოიქცა, პროვოკაცია მოაწყო, იარაღი ჩააბარა. სოხუმში ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ წევრებს დავურეკე, ვუთხარი, მე ამის დრო არ მაქვს და ამის საქმე თქვენ გაარკვიეთ-მეთქი. აფხაზეთში თანამებრძოლებმა სასამართლო მოუწყვეს და გაამართლეს.

***— რაზე სთხოვდნენ პასუხს?***

— პირველ ყოვლისა, იმაზე, რაც საზღვარზე გადმოსვლის დროს მოხდა, როცა საქართველოში ბრუნდებოდა.

***— მაინც რა მოხდა?***

— კარგად არ მახსოვს, მაგრამ იარაღს უკავშირდებოდა. იქ მათ ისეთი ხალხი დახვდა, პუტჩისტები, ვინც არ უნდა დახვედროდა.

***— რატომ ჩაატარეს მისი სასამართლო მაინცდამაინც აფხაზეთში?***

— იმიტომ, რომ იქ შედარებით მშვიდი სიტუაცია იყო. ზუგდიდში კი ამის დრო არ იყო, წინააღმდეგობის ეპიცენტრი იყო. ბრძოლაში ვიყავით ჩართულები. აფხაზეთიდან უჩავა გამართლებული გამომიგზავნეს. იმ დროს სამეგრელოს ტერიტორია უკვე პუტჩისტებს ჰქონდათ დაკავებული და მე პარტიზანულ ბრძოლას ვეწეოდი. ჩვენს ხალხს ხოცავდნენ და შეიარაღებული დაპირისპირება იყო. უჩავას ბოლომდე არასოდეს ვენდობოდი. მას ჩემ მხარდამხარ უბრძოლია, მაგრამ როდის და რა ოპერაციაზე მიმყავდა, წინასწარ არასოდეს მითქვამს, ფაქტის წინაშე ვაყენებდი ხოლმე.

***— თუ შემოგზავნილი და აგენტი იყო, თქვენს მხარეს როგორ იბრძოდა?***

— აგენტი თუ პროფესიონალია, თავისიანებსაც დახოცავს, ოღონდ სიტუაციიდან გამოძვრეს.

***— თქვენი უნდობლობა მხოლოდ საზღვარზე მომხდარი ინციდენტით იყო გამოწვეული?***

— თბილისში უმოქმედოდ ყოფნის გამოც. ვალდებული ვიყავი, თვალი არ დამეხუჭა და ბრმად არ ვენდობოდი. სამეგრელოშიც არ იქცეოდა კარგად.

***— იქ რა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული?***

— ჩვენ პარტიზანობას ვეწეოდით და როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, ჩვენს ხალხს ომში ჩუმად ვეხმარებოდით.

***— ჩუმად რატომ?***

— იმიტომ, რომ საკმარისი იყო, ღიად გამოგვეცხადებინა, მზად ვართ აფხაზეთში საბრძოლველადო და მაშინვე ჯაბა იოსელიანი აქტიურდებოდა. როცა სამეგრელო ჩვენი კონტროლის ქვეშ გადმოვიდა, როგორც კი შევეცდებოდით აფხაზეთში საბრძოლველად გადასვლას, იმ წუთში მოადგებოდა ჯაბა თავისი ხალხით ზუგდიდს. აფხაზეთში გადასვლის საშუალებას არ გვაძლევდა. შევარდნაძეს და იოსელიანს არ უნდოდათ, რომ აფხაზეთის ომში მიგვეღო მონაწილეობა.

***— ამ დროს ამბობენ, რომ კი არ ეხმარებოდით, პირიქით, ხელს უშლიდით.***

— კი, ასე ამბობენ. ამიტომ ჩუმად 20-30 კაცს ვაგზავნიდით ისე, რომ ეს ამბავი თბილისში არ გაეგოთ. თუ ხელს ვუშლიდით, ვინ გაატარათ და როგორ მოხვდნენ აფხაზეთში?

***— ვინ გაატარა?***

— მე გავატარე, მე არ შევუშალე ხელი. ამ ომის დაწყების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ქართულ ჯარს რომ წინ აღვდგომოდი, ეს არ შეიძლებოდა.

***— მოდით, ისევ უჩავას დავუბრუნდეთ. რატომ გამოუშვით სამეგრელოდან?***

— რამდენიმე მომენტი იყო, როცა გამცემად ჩავთვალე, თუმცა დამამტკიცებელი ფაქტები არ მქონდა, არ იყო იმის სიტუაცია, რომ გაგერჩია და დაგემტკიცებინა. ძალიან ნიჭიერი იყო, მაგრამ არა — ჭკვიანი. ჭკვიანი კაცი ღალატზე არ წავა. უჩავა პროფესიონალია. მასაც ჰყავდა შეიარაღებული ჯგუფი, მეც მყავდა და შეიძლებოდა, ჩვენს დაპირისპირებას მსხვერპლი მოჰყოლოდა და ამიტომ ვარჩიე, თავიდან მომეშორებინა, ვუთხარი, წადი, თორემ მოგკლავენმეთქი. ის თბილისში წამოვიდა.

კანონიერი ხელისუფლების დამარცხების შემდეგ მეხის გავარდნასავით მივიღეთ ცნობა პრესიდან, რომ შევარდნაძის ბრძანებით უჩავას გენერლის წოდება მიენიჭა. რა დამსახურებისთვის? თუ შევარდნაძეს ებრძოდა, გენერლის ჩინს უბოძებდა? თუკი მისცა, ე.ი. მისი იყო.

***— გავრცელებული ინფორმაციით, უჩავა „ბუნკერიდანვე“ გადავიდა მოწინააღმდეგე მხარეს.***

— ეს არასწორი ინფორმაციაა. ის შევარდნაძის და რუსეთის კაცი იყო. ამიტომ, როცა ბურჯანაძის ხელმძღვანელობით ეს აქციები გაიმართა, უცებ დაისვა კითხვა, ასეთ კაცს, რომელიც ჩემთვის, ცხადია, რომ შევარდნაძის და რუსეთის აგენტია, ჩვენთან შემოგზავნილი იყო, რა უნდოდა ბურჯანაძესთან?

***— ვითომ ხელისუფლებამ შეაგზავნა?***

— თუ შეაგზავნეს, მაშინ გამოდის, რომ ბურჯანაძე სუფთაა, მაგრამ არის მეორე ვარიანტიც, იქნებ რუსეთმა დამხმარედ გამოუგზავნა?

***— ამბობთ, რომ აგენტი იყო. რა იცით? ჩვენთან ასეთ იარლიყებს უცებ მიაკრავენ. იქნებ პრინციპული იყო და განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდა?***

— ომის მომენტში ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, მაგალითად, როგორ იქცევა შენიანი, ემორჩილება თუ არა ბრძანებას. თუ განსხვავებული აზრი აქვს, მაშინ უნდა გითხრას. როცა თითქოს ემორჩილება შენს ბრძანებას, მაგრამ მიდის და ცუდად აკეთებს, ან საერთოდ არ აკეთებს, ცხადია, რომ შენი არ არის და მეორე, არანაკლებ მთავარი მომენტი, ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ედუარდ შევარდნაძე რომ გენერლის წოდებას ანიჭებს, ამის შემდეგ კიდევ რამეა საეჭვო?

***— ანუ უჩავა ღიად არ გადასულა მოწინააღმდეგეთა ბანაკში, როგორც მასზე ითქვა?***

— არა. ეს იყო მისი ფარული ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ, რისთვისაც მან გენერლის წოდება მიიღო.

***— ზვიად გამსახურდიასთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა?***

— მე ეს არ ვიცი.

***— პოლიციის მიერ მისი გატაცება გაშიფრული აგენტის გაყვანადაც შეფასდა.***

— თქვენს ლოგიკას რომ მივყვეთ, თუ აგენტის გაყვანა უნდოდა პოლიციას, მაშინ ნინო ბურჯანაძე პატიოსანი პიროვნება გამოდის, მაგრამ რა ვუყოთ იმ ჩანაწერებს, რითიც ამტკიცებენ, რომ თითქოს რუსეთთან ჰქონდა კავშირი?! ან ერთი უნდა იყოს მართალი ან — მეორე.

***— ჩანაწერის ფალსიფიცირებაც არაა გამორიცხული.***

— როცა სამზარეულო არ ვიცით, დამტკიცებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ იყო აგენტის გაყვანა... ახლო მომავალში ყველაფერი გაირკვევა. თუ რაღაც მანქანებით უჩავა ისევ იხილავს თავისუფლებას, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება. იმ დროს შევარდნაძემ გენერლის წოდება მიანიჭა, ესენი თუ გენერალლეიტენანტის წოდებას მისცემენ, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება. თუ ციხეში ჩასვეს, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლების მიერ ჯაშუშად კი არ იყო შეგზავნილი, არამედ რუსეთის მხრიდან დამხმარე ძალად.

***— იმ აქციაზე რამდენიმე მხედრიონელიც იყო.***

— ამაშია უბედურება. საქართველოში პუტჩი მოხდა და ამაზე ლაპარაკი არავის აწყობს, იმიტომ, რომ პუტჩისტებით სავსეა ოპოზიციაც და ხელისუფლებაც. ყველა ფიქრობს, რომ ოღონდ დღეს მისი ერთგული იყოს და გუშინდელ დანაშაულს პატიობენ. იმ პუტჩის გამო რომ ვინმე დასჯილიყო, თუნდაც სიმბოლურად და ასეთი ყასიდი კი არა, ნამდვილი შეფასება გაკეთებულიყო, მაშინ არ იქნებოდა ამდენი მკვლელობა, აღარ დაარბევდნენ მიტინგებს, ქუჩაში ხალხს აღარ დახოცავდნენ.

თუ მე მტკივა დღეს ქუჩაში მოკლული ბიჭი, რატომ არ სტკივათ ჩვენი დახვრეტილი მომიტინგეები? სახალხო კრების აქცია შეუბრალებლად დაარბიეს და ეს დანაშაულია, მაგრამ რატომ არავინ ამბობს იმას, რომ ჩვენ ას და ორასათასიან მიტინგებს კი არ არბევდნენ, მათ რომელი პოლიცია მოერეოდა, პირდაპირ ხვრეტდნენ. ამაზე რომ ყოფილიყო რეაგირება და სწორი შეფასება გაკეთებულიყო, ასეთი რალაცეები აღარ მოხდებოდა. როცა სააკაშვილი მოდიოდა ხელისუფლებაში, დაიფიცა, რომ სამართლიანობას აღადგენდა. ჩვენი რამდენიმე კაცი დღესაც ციხეში ზის ტერაქტის ბრალდებით, შევარდნაძე კი მეფესავით ზის თავის რეზიდენციაში.

***— ის პირობაც დადო, რომ 1992-93 წლების მოვლენებს გამოიძიებდა და თავის სახელს დაარქმევდა. შევარდნაძე რომ ამას არ გააკეთებდა, გასაგებია, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ რატომ არ შეასრულა პირობა?***

— ჩემთვის ეს სრულიად გასაგებია. იმ ძალებს, რომლებიც დღეს სააკაშვილის ხელისუფლებას მფარველობს, ეროვნული სახელმწიფო არ სჭირდება, თორემ სააკაშვილი იმ დიდი რაოდენობის ხალხის თავისკენ გადასაბირებლად, ვისაც დღესაც ზვიად გამსახურდია მიაჩნია თავის პრეზიდენტად, იმ მოვლენების შეფასებას გააკეთებდა, თუნდაც იმიტომ, რომ სხვა პრეცედენტი არ გამეორებულიყო. მაგრამ არ გააკეთა, იმიტომ, რომ მის მფარველს ეს არ აწყობს.

***— მფარველში ვის გულისხმობთ?***

— ნებისმიერს, რუსეთსაც, ამერიკასაც — ყველა რეაქციულ ძალას. ერთი ბატონი იმიტომ კი არ მოგვიშორებია, მეორე დავისვათ თავზე. ამერიკის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მის პოლიტიკას ვეწინააღმდეგები. დღეს მიმდინარეობს საქართველოს დაპყრობა ომის გარეშე. ვინც ამას ვერ ხედავს, ან ბრმაა ან მოღალატე! რაც შენდება, მიხარია, მაგრამ ვისთვის აშენებენ? კარგია, რომ კეთდება გზები, შენდება სასტუმროები, მაგრამ, მეორე მხრივ, ხალხი ისეთ დამშეულია, რომ ყველა საშუალებით ცდილობს, საქართველოდან გაიქცეს და მიდის კიდეც, თანაც იმ ასაკის ადამიანებზეა ლაპარაკი, ვინც სახელმწიფოს სჭირდება. მათი ადგილი კი ცარიელი არ რჩება. მოქმედი პოლიტიკოსი ყოველთვის ერიდება ალალი სიმართლის თქმას, იმიტომ, რომ ხმები სჭირდება. მე არც ხმა მჭირდება და არც არაფერი. ამიტომ ვამბობ, როცა ქართველი აქედან მიდის, მის ადგილს იკავებს ჩინელი, ინდოელი, აფრიკელი. ბათუმში უკვე თურქული საუბარი ჭარბობს. თუ ცნობიერებით ქართველი ხარ, არ უნდა გააჩუქო შენი ტერიტორიები და ქვეყნის სიმდიდრე სხვას არ უნდა ჩაუგდო ხელში.

რაც შეეხება ამ ბოლო დროს გამართულ მიტინგებს, თუ ასეთი ჩანაწერი ჰქონდათ, რატომ დარბევამდე არ გვაჩვენეს? ეს იქნებოდა შესანიშნავი პრევენცია. დარწმუნებული ვარ, იმ ხალხის უმეტესობა იქიდან წავიდოდა, იმიტომ, რომ მათი უმეტესობა საკუთარი გაჭირვების და აღშფოთების გამო იყო მისული და არა ბურჯანაძის და დასარბევიც არაფერი დარჩებოდა. რატომ არ გააკეთეს? ე.ი. უნდოდათ ის დარბევა და იმიტომ.

ამ ხელისუფლების პატრიოტიზმზე და ეროვნულობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ არც ბურჯანაძეზე მინდა რამის თქმა. ნუ იზამს ხალხი ისე, რომ ამ ხელისუფლების სიძულვილის გამო მათზე უარესები მოვიდნენ სათავეში.

***— ბურჯანაძე სააკაშვილზე უარესია?***

— ყველაფერი პიროვნული თვისებებით იწყება. ჩვენ რომ მოვედით ხელისუფლებაში, ზვიადმა თქვა, ცკ-ის დასასვენებელ ადგილებს საბავშვო ბაღებს გადავცემთ, მაგრამ წყნეთში არის პატარა ბინებიც, შეგიძლიათ ფული გადაიხადოთ და ერთი-ორი კვირით ზაფხულში დაისვენოთო. უამრავმა ადამიანმა თქვა უარი, იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა. ქადაგებ ეროვნულობას, მოდიხარ ხალხის რჩეული და მაშინვე იკავებ ძველის ადგილს. 2007 წელს მოშიმშილეები რომ ისხდნენ ბურჯანაძის მისაღებში, ამოიღონ ის ფირები, როგორი ზიზღით ეუბნება, ქალი ვარ და თქვენ დაუბანლები სხედხართო. მეთოდი გაიხსენეთ, რითიც ოპოზიციაში შესვლას ცდილობდა, შევიდა და მერე ლიდერობა მოინდომა და თავგანწირული ეროვნული პიროვნება გამოვიდა. ასეთი თუ მოვა ხელისუფლებაში, არავის დაინდობს.

იმ აქციებზე უამრავი პუტჩისტი იყო. ბევრმა ქვეყანა გაყიდა, ბევრს მართლა სჯეროდა, რომ ზვიად გამსახურდია სატანა იყო და შეიძლება პატრიოტიზმის გამოც ებრძოდა. ბათიაშვილი იმდენად ცნობილი პუტჩისტი იყო, რომ შევარდნაძემ უშიშროების მინისტრად დანიშნა, მაგრამ ამ კაცმა ისეთი რამ გააკეთა, რომელსაც ვერასოდეს დავუვიწყებ, პირიქით, ყველა ცოდვა ვაპატიე.



***— მაინც რა?***

— როცა გაიგო, რომ პეტრე გელბახიანი სასტიკად აწამეს და ერთ-ერთ წიკლაურს სპირალი შემოახვიეს, ჩართეს და იმით დაწვეს (ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ვაი, ამ გადარჩენას), პროტესტის ნიშნად გადადგა. ამას არასოდეს დავუვიწყებ. ბურჯანაძისნაირებს პუტჩისტი ბათიაშვილი მირჩევნია ათი თავით.

***— თქვენი მომხრეებიც იდგნენ იმ მიტინგზე. ელიზბარ ჯაველიძე სახალხო კრების წევრია.***

— ელიზბარი ნაღდი ქართველია. ხედავს, რომ ქვეყანა ცუდი გზით მიდის და სიტუაციის გამოსწორება უნდა. მარტო ვერაფერს გააკეთებს, ვილაცასთან უნდა იყოს, მაგრამ ოპოზიციის ადგილი სულ ამათმა დაიკავეს. პირველი პუტჩის დროს ზომები არავინ მიიღო და არავინ დაისაჯა.

***— ზვიადის მომხრებმა ვარდების რევოლუციისას სააკაშვილს დაუჭირეთ მხარი. რომ არა ე.წ. ზვიადისტები, ის საქმე არ გამოვიდოდა. ეროვნულმა ხალხმა ჩამოაგდო შევარდნაძე.***

— სააკაშვილი ამ ხალხის ლოზუნგებით მოდიოდა და შუბლზე არ ეწერა, რამდენად გულწრფელი იყო, ეკლესიაში დაიფიცა.

***— კოკო გამსახურდიას კომისიის შედეგებზე რას იტყვით? პირველი პრეზიდენტის მომხრეები დასკვნით კმაყოფილები ხართ?***

— როცა ეს კომისია შეიქმნა, ვთქვი, რომ მას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ შედეგი დაიდებოდა. რაღაც შედეგი არის. კომისიამ დადო დასკვნა, რომ ზვიად გამსახურდია თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. საფუძველი ჩაუყარა, რომ ჩატარდეს ხელახალი გამოძიება. ვფიქრობ, ხელისუფლება ან საერთოდ არ გამოიძიებს, ან არჩევნების წინ თუ დასჭირდებათ, შექმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, რომ საქმე დაიწყეს, რათა ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლების გული მოიგონ.

***— ასეთი სკეპტიციზმიცაა, შვილი იკვლევდა მამის სიკვდილის ამბავს და ტენდენციური იქნებოდაო.***

— კონსტანტინე გამსახურდია სიმბოლურად იყო თავმჯდომარე, იქ იყვნენ პროფესიონალები, რომლებიც საქმეს აკეთებდნენ.

**ნინო მეტრეველი**

# დუტა დანებებას არ აპირებს

ეკა ირემაშვილი

მსახიობი და შოუმენი დუტა სხირტლაძე, რომელიც ვაჟა-შაველას სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის მმართველიც არის, დანებებას არ აპირებს და კვლავაც აგრძელებს თელავის თეატრში რეორგანიზაციას, რომელიც თეატრის დასის ნაწილისთვის საკმაოდ მტკივნეული და ამავე დროს სკანდალურია.

გასულ კვირას დუტამ თავისი მუქარა აასრულა და თელავის თეატრის მთავარი რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე დაკავებული თანამდებო-



ბიდან გაათავისუფლა. ამის შესახებ თელავის თეატრის მმართველმა საგანგებო ბრძანებაც დაწერა, თუმცა ბატონი გოგი თელავის თეატრში დღემდე აგრძელებს მუშაობას. როგორც რეჟისორი აცხადებს, თეატრის მსახიობებმა დუტას მიერ დაწერილი განცხადება დახიეს, ამიტომ იგი თეატრში კვლავ მოღვაწეობს.

— დაახლოებით ორი კვირის წინ დაუწერია ბრძანება, მაგრამ მე არც დუტა მინახავს და არც ბრძანება. ჩემმა მხარდამჭერებმა დახიეს ბრძანება და ჯერჯერობით ისევ ვაგრძელებ მუშაობას თეატრში. მეტი არაფერი ვიცი, — ამბობს რეჟისორი.

დუტას არ დაუმალავს, რომ გოგი ჩაკვეტაძის მიერ დადგმული სპექტაკლები არ მოსწონს და თელავის თეატრის მაღალ დონეზე აყვანას გეგმავს, რაც თბილისიდან რეჟისორებისა და მსახიობების ჩაყვანას ითვალისწინებს. მსახიობი და შოუმენი აცხადებდა, რომ ის თელავის თეატრში დასამარცხებლად კი არა, გასამარჯვებლად ჩავიდა და თავის ჩანაფიქრს რადაც არ უნდა დაუჯდეს, ბოლომდე მიიყვანს.

დაპირისპირება თელავის თეატრის მმართველსა და თეატრის რამდენიმე თანამშრომელს შორის 3 თვის წინ დაიწყო. თეატრის თანამშრომლები დუტა სხირტლაძეს ნეპოტიზმში, მოვალეობის შეუსრულებლობასა და უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ. დუტა კი ამბობს, ის თბილისში იმისთვის იმყოფება, რომ სპონსორები მოიზიდოს და თელავის თეატრი საკადრის დონეზე დააყენოს.

დუტა სხირტლაძე მასთან დაპირისპირების გამო რამდენიმე თანამშრომლის, მათ შორის გოგი ჩაკვეტაძის გათავისუფლებას ჯერ კიდევ აპრილში გეგმავდა, მაგრამ გადაწყვეტილება მოულოდნელად შეცვალა.

# ეროვნული საგანძურის დაცვაზე „საქპატენტი“ იზრუნებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ და ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. დოკუმენტი ითვალისწინებს მიზნობრივი პროექტების განხორციელებას, რაც მიმართული იქნება ინტელექტუალური საკუთრებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობისკენ.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ეროვნულ მუზეუმში დაცული ნივთების ასლების დამზადება სამართლებრივ ჩარჩოში მოექცევა. მემორანდუმი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზნობრივი პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს, რაც ინტელექტუალური საკუთრებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობისკენ იქნება მიმართული.

— აქ საუბარია თანამშრომლობაზე, სამართლებრივ მექანიმებზე, რათა მოხდეს ჩვენი ეროვნული საგანძურის დაცვა. ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ყოველგვარი ნებართვის გარეშე ხდება გამოყენება ჩვენი საგანძურისა. ჩვენ გვქონდა იმის მცდელობაც, რომ დიზაინად დარეგისტრირებულიყო ყველა ცნობილი ნიმუში, რაც კი შედის ოქროს ფონდში. ახლა კი უკვე გავაფორმეთ ოფიციალური მემორანდუმი და ეროვნული საგანძურის დაცვაზე ჩვენ და ეროვნული მუზეუმი ერთად ვიზრუნებთ, — განაცხადა „საქპატენტის“ ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომ ბოლო პერიოდში ეროვნული საგანძურში დაცული ნივთების ასლების დამზადება გარკვეულ პირთათვის შემოსავლის წყარო გახდა. საგანძური კი საქართველოს ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. მომავალში ასლების კომერციალიზაცია სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა.

— ჩვენი აღმოჩენები გახდა კიდევ უფრო ცნობილი როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ სფეროში. ბედნიერები ვართ, რომ მოიმატა ინტერესმა ჩვენი საგანძურის მიმართ. პირველ რიგში, მოიმატა ეკონომიკურმა ინტერესმა. ამ მემორანდუმის გაფორმებით კი ჩვენ არალეგალური წარმოება უნდა აღვკვეთოთ როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჩვენი ერთობლივი მემორანდუმი ქართული საგანძურის დასაცავად გაფორმდა, — განმარტა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ.

დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ სტუმრებმა განახლებული ეროვნული მუზეუმის შენობაში არქეოლოგიური საგანძურის განყოფილება დაათვალიერეს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებას მართავს. მათგან ყველაზე საყურადღებო კი საქართველოში ცნობილი იტალიელი რესტავრატორის ჯანლუიჯი კოლალუჩის საქართველოში ვიზიტია. იგი ჩვენ ქვეყანას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, უშუალოდ მინისტრის ნიკოლოზ რურუას ინიციატივით ეწვია. მსოფლიოში ცნობილმა რესტავრატორმა, რესტავრაციის სფეროში შეტანილი მრავალი ჯილდოს მფლობელმა მეცნიერმა ჯანლუიჯი კოლალუჩიმ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ქართველი სპეციალისტებისთვისა და სტუდენტებისთვის ლექციები წაიკითხა. პირველ ლექციაზე მეცნიერმა სიქსტის კაპელაზე ისაუბრა — „სიქსტის კაპელის კონსერვაცია“, მეორე ლექციის თემა კი „ომის შედეგად დაზიანებული ხელოვნების ნიმუშების რესტავრაცია“ იყო.

— ქართული კულტურა ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ის აყვანილი იყოს უმაღლეს ხარისხში. ეს ნამდვილად შესაძლებელია, თუკი ჩვენი აქტიურად ვითანამშრომლებთ საერთაშორისო დონის სპეციალისტებთან. ჯანლუიჯი კოლალუჩის მიერ წაკითხული ლექციები კიდევ უფრო შეგვიწყობს ხელს იმაში, რომ დროულად მოვაგვაროთ ჩვენს კულტურულ ძეგლებზე არსებული პრობლემები, — განმარტა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ.

ჯაგლუიჯი კოლალუჩიმ მოინახულა ყინწვისის, ნეკრესისა და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსები, მცხეთის არქიტექტურა და კედლის მხატვრობის უძველესი ნიმუშები. შეხვდა კულტურის მინისტრს, ეროვნული მუზეუმის დირექტორს და ქართველ რესტავრატორებს.

— საქართველოში რამდენიმე უნიკალური ძეგლი უკვე დავათვალიერე. ქართველ რესტავრატორებსაც ვესაუბრე. ძალიან საინტერესო იყო მათთან შეხვედრა და ჩემთვის ესოდენ საინტერესო და საყვარელ თემაზე საუბარი. მინდა მათ ხშირად შევხვდე, რათა იდეები გავცვალოთ, — განაცხადა ჯანლუიჯი კოლალუჩიმ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში დაგეგმილ ჯანლუიჯი კოლალუჩის ლექციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა დაესწრო. ჯანლუიჯი კოლალუჩი მუშაობდა მიქელანჯელოს სიქსტეს კაპელის რესტავრაციაზე. 2003 წელს მან მიიღო რესტავრაციისა და კონსერვაციის საერთაშორისო ჯილდო, კულტურულ მემკვიდრეობაში 50-წლიანი პროფესიული მოღვაწეებისთვისა და განსაკუთრებული წვლილისათვის, რომელიც მან მიქელანჯელოს სიქსტეს კაპელის რესტავრაციის საქმეში შეიტანა. იტალიელი მეცნიერი წლების განმავლობაში მუშაობდა ისეთი მხატვრების ნამუშევრებზე, როგორებიც არიან მიქელანჯელო, რაფაელი, ჯოტო, ლეონარდო, ტიციანი, კარავაჯო. ის იყო პრადოს მუზეუმის მრჩეველი, კითხულობდა ლექციებს რესტავრაციის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსტეტებში, ისტიტუტებსა და სკოლებში, არის საპატიო წევრი ყველაზე პრესტიჟული სარესტავრაციო ორგანიზაციებისა — კონსერვაციის საერთაშორისო ინსტიტუტი, კულტურულ□სახელოვნებო ასოციაცია.

— ჯანლუიჯი კოლალუჩი საქართველოში უშუალოდ ჩვენი სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა. ის იმიტომ იმყოფება საქართველოში, რომ დაეხმაროს ქართველ რესტავრატორებს თავისი გამოცდილებით. მან ადგილზე მოინახულა ჩვენი უნიკალური ძეგლები, ფრესკები. ყველა გამოცდილი რესტავრატორის რჩევა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და შეუფასებელია, ამიტომ ასეთი მაღალი დონის რესტრავრატორებს საქართველოში კიდევ მოვიწვევთ, — განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

ჯანლუიჯი კოლალუჩის ლექციის შემდეგ კი ეროვნულ მუზეუმში თვინინგის მე-4 კომპონენტის შეხვედრები გაიმართა. „კომპონენტი 4“ 29 ივნისამდე გაგრძელდება. პროექტი განსაზღვრულ სფეროებში სტანდარტების გაცნობასა და დანერგვას ისახავს მიზნად, ტრეინინგის თემაა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სტანდარტების განხორციელება — საზოგადოების მომსახურება, საზოგადოებრივი ურთიერთობები და მარკეტინგი. ტრენინგის პროგრამაშია მოხსენებები თემაზე — მუზეუმები და დამთვალიერებლები: აუდიტორიის განვითარების სტრატეგია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სტრატეგიული მიზნები (მიშა წერეთელი); კომუნიკაცია საზოგადოებასთან ურთიერთობაამოცანები, პასუხისმგებლობა (ბერლინის მაგალითს წარმოადგენს მეხტილდ კრონენბერგი), კომუნიკაციისა და მარკეტინგის სტრატეგია ეროვნულ მუზეუმში (ნატალია შელეგია), (განსახილველი თემები: კომუნიკაციის სამსახურის ჩამოყალიბება, ეროვნული მუზეუმის ბრენდინგის პროექტი, ელექტრონული მედიის განვითარება, დამთვალიერებელთა კვლევის მნიშვნელობა, ეროვნული მუზეუმის გამოცდილება და სამომავლო გეგმები), გამოცდილება დამთვალიერებელთა კვლევაში, დამთვალიერებელთა კვლევის გერმანული გამოცდილება (მუზეუმების კვლევის ინსტიტუტი მონიკა ჰაგედერ-ზაუპე), დამთვალიერებელთა ქცევის წესები — ახლად შემოღებული წესების პრეზენტაცია (სალომე გურული); ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პოლიტიკა (ახლად შემუშავებულ საგანმანათლებლო პოლიტიკას წარმოადგენენ ნინო გედევანიშვილი და მიშა წერეთელი), ინვესტირება შრომითი რესურსების განვითარებაში — ეროვნული მუზეუმის სტრატეგიული მიზანი (თაიკო კოკოჩაშვილი, ნინო გედევანიშვილი, მიშა წერეთელი), წარმოდგენილი იქნება ეროვნული მუზეუმის შრომითი რესურსების განვითარების პოლიტიკა, ნაჩვენები იქნება რამდენიმე მიმდინარე სტატისტიკური მონაცემი უკვე გატარებული ღონისძიებების თვალსაჩინოებისათვის. მონაწილეებს შესთავაზებენ ინტერაქტიულ სავარჯიშოებს, რათა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სფეროში აქვთ სურვილი, რომ მომავალში გაიარონ ტრენინგი. წარმოდგენილი იქნება წინადადებები გერმანული მხრიდან. პროექტის ფარგლებში ასევე განხილული იქნება შემდეგი თემები — აუდიტორიის ჩამოყალიბება, პარტნიორობის ჩამოყალიბება აუდიტორიის განვითარებისთვის — ეროვნული მუზეუმის სტრატეგია, წევრობის პროგრამები, გერმანული მაგალითი (მეხტილდ კრონენბერგი), ეროვნული მუზეუმის წევრობის პროგრამა, გეგმები და პერსპექტივები (ნატალია შელეგია). სავარჯიშოები მონაწილეთათვის, ერთობლივი დისკუსია მუზეუმების მიმდინარე და სამომავლო გამოწვევების შესახებ (ბერნარდ გრაფი, მონიკა ჰაგედორნ-ზაუპე, მექტილდ კრონენბერ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)

**განცხადებები**

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი პაციენტის შესაძლებლობის მიხედვით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 590-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ქირავდება სასაწყობე და საწარმოო ფართი ქვემო ფონიჭალაში 2000 კვ.მ. შენობა, შენობის სიმაღლე 8 მ. ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ჩიხი. ტელ: 599-51-28-44 ან 599-73-75-73.

# მოსკოვში ლიონზე უკეთ

საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრებმა ევროპის გრან პრის მე-2, მოსკოვის ეტაპზე მე-4 ადგილი დაიკავა, რითიც ერთი კვირის წინ ლიონში ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესა და საფრანგეთში მოპოვებულ 8 ქულას 14 შეჰმატა, ჯამში 22 გაუხდა და საერთო ჩათვლაში მე-5 ადგილამდე აღზევდა.

წლევანდელი სეზონიდან ევროპული რაგბის მმართველმა ორგანიზაციამ შვიდკაცა რაგბის ჩატარების ფორმატი შეცვალა. აქამდე ევროპული ნაკრებები შვიდ შესარჩევ ეტაპს თამაშობდნენ, თითო მხოლოდ ორს, იქ მოპოვებული ქულათა შეკრებით, 12 უძლიერესი ნაკრები იკრიბებოდა და ევროპის ჩემპიონატი ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, დასკვნითი ეტაპის შედეგად ირკვეოდა. წლეულს გუნდები დონეებად დაიყვნენ, საუკეთესო 12 ნაკრებში საქართველოც მოხვდა და გათამაშების ფორმატი მსოფლიო სერიებს დაემსგავსა.ახლა, საუკეთესო ევროპული ნაკრებები 4 ეტაპს თამაშობენ, ქულებს თითოეულ მათგანში დაკავებული ადგილის მიხედვით იღებენ და ბოლოს, ვისაც ყველაზე მეტი ქულა დაუგროვდება, ევროპის ჩემპიონადაც ის გამოცხადდება.

ლიონის ეტაპის შემდეგ, სადაც 6 ნაკრებმა აჯობა საქართველოს (მათ შორის, რუსეთმა და უელსმა), მთავარმა მწვრთნელმა კახა ალანიამ გუნდში 4 ცვლილება განახორციელა. ლეგიონერები მერაბ კვირიკაშვილი და გიორგი ჩხაიძე ეროვნულ გუნდთან ერთად, 4 ივლისიდან მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა ჩაერთონ და დასვენება სჭირდებოდათ, დანარჩენი 2 ცვლილება კი, ტრავმებით იყო განპირობებული. შედეგად, მე-2, მოსკოვის ეტაპზე, ქართულ კლუბებში მობურთალი 12 მორაგბე გაემგზავრა. ორმაგად სასიამოვნოა, რომ მათ პირველ ეტაპზე უკეთესი შედეგი აჩვენეს. ამასთან, ქართველებმა დაამარცხეს ექვსი ერის წარმომადგენელი ქვეყნის 2 ნაკრები — საფრანგეთი და უელსი, მაგრამ სამაგიეროდ, კვლავ ვერაფერი მოუხერხეს ესპანეთსა და პორტუგალიას.

საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა ფრანგთა წინააღმდეგ გამართა და მეტოქეს 2 ლელო გაუტანა, ერთი რეალიზაცია გამოიყენა, თავად მხოლოდ ლელო-გარდასახვა გაუშვა და 12:7 იმარჯვა. ამის შემდეგ ქართველებს ბრძოლა რუმინეთთან ჰქონდათ, რომელიც თავის მხრივ ფრედ ეთამაშა უელსს. რუმინეთმა საქართველოსთანაც გაიბრძოლა და 2 ლელო გაიტანა, მაგრამ ქართველთაგან 3 მიიღო და კახა ალანიას შეგირდებმა 21:12 იმარჯვეს.

მომდევნო მატჩი საქართველოს ჯგუფის ლიდერთან, ესპანეთთან უწევდა, რომელსაც ლიონის ეტაპზეც ეთამაშა და 10:26 დამარცხდა. ესპანეთს ძლიერი შვიდკაცა რომ ჰყავს,



ცხადზე ცხადია და მათი უპირატესობა ამჯერადაც აშკარა იყო. „ლომები“ 4 ლელოსა და 2 რეალიზაციის შემდეგ 24:0 დაწინაურდნენ. ბოლოს ქართველებმა პრესტიჟის ლელოს გატანა შეძლეს და 5:24 დამარცხდნენ.

პირველი სათამაშო დღის ბოლო მატჩში, ბორჯღალოსნებს □ქართულ□უკრაინასთან (მთავარი მწვრთნელი და რამდენიმე მოთამაშე ქართველია) რევანში სწყუროდათ. უკრაინელებმა შეხვედრა რიხით დაიწყეს და 12:0 დაწინაურდნენ, მაგრამ დასკვნით ორ წუთში ქართულმა ხასიათმა თავისი გაიტანა, ორ ლელოს ორივე ზუსტი რეალიზაცია მოჰყვა და ტაბლოზე 14:12 დაფიქსირდა.

მე-2 დღის პირველ შეხვედრაში, საქართველოს ნაკრებს, ჯგუფური ეტაპის დასაძლევად უელსთან ფრეც აძლევდა ხელს. საქართველომ ძალები მოიკრიბა და 6 ერის წარმომადგენელი მეორე ქვეყნის ნაკრებს მკაცრი დაცვა ეთამაშა, საკუთარი ჩათვლის მოედანი ხელუხლებელი შეინახა, თავად 2 ლელო და ორივე რეალიზაცია მიითვალა და მეტოქის 14:0 ძლევით, თასის ნახევარფინალში გავიდა.

ნახევარფინალში საქართველომ გაიბრძოლა და მეტოქეს 2 ლელო გაუტანა, მაგრამ პორტუგალია ორჯერ და მეტად ძლიერი აღმოჩნდა — 4 ლელო და 2 გარდასახვა. შედეგად, პორტუგალიელებმა 24:10 იმარჯვეს, საქართველოს ნაკრებს კი, მე-3 ადგილისთვის მატჩში ის ესპანეთი ელოდა, რომელთანაც 2 თამაში ჰქონდა წაგებული. რევანში არც ამჯერად შედგა, უფრო მეტიც, ესპანელებმა ყველაზე დიდი სხვაობით მოიგეს. მათ 5 ლელო გაიტანეს, ერთი რეალიზაცია გამოიყენეს და 27:0 იმარჯვეს.

ისევე, როგორც ლიონის ეტაპზე, მოსკოვშიც პირველი ადგილი ინგლისმა დაიკავა. ნახევარფინალში, ესპანეთის ძლევის (24:14) შემდეგ, ინგლისელებმა პორტუგალიასთან, ჯგუფურ ეტაპზე განცდილი მარცხისთვის (28:21) რევანში ფინალში აიღეს, მეტოქე 24:12 დასცეს და თასი მეორედ შეათამაშეს.

მე-5 ადგილზე საფრანგეთი გავიდა, რომელმაც ნახევარფინალში მასპინძელი რუსეთი დაძაბულ ბრძოლაში 20:19 დაამარცხა, მერე კი უელსს სძლია — 21:12.რუსეთმა ამჯერადაც არ გაახარა იტალია 24:10 აჯობა, რითაც მე-7 ადგილი დაისაკუთრა. მე-9 საფეხურზე, გადამწყვეტ მატჩში უკრაინის 7:5 მძლეველი რუმინეთი გავიდა, ხოლო ბოლოსწინა ადგილი მოლდოვამ დაისაკუთრა.

ახლა გუნდები ორი კვირით დაისვენებენ და მე-3 ეტაპის გასამართად, 9-10 ივლისს, ესპანეთში, ბარსელონაში შეიკრიბებიან, ხოლო დასკვნით, მე-4 ეტაპს, 16-17 ივლისს რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრებმა მოსკოვში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დავით ჩიტიძე (ლოკომოტივი, თბილისი), გიორგი კობერიძე (ლოკომოტივი, თბილისი), ირაკლი გეგენავა (ყოჩები, თბილისი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი XV, ბათუმი), მერაბ შარიქაძე (აკადემია, თბილისი), გიორგი კალმახელიძე (არმია, თბილისი), ირაკლი ღვინჯილია (ლოკომოტივი, თბილისი), ალექსანდრე ტუჩაშვილი (ლოკომოტივი, თბილისი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია□, თბილისი), ბექა ბიწაძე (□არმია□, თბილისი), შალვა მახარაშვილი (ყოჩები, თბილისი), ზაქარია ზირაქაშვილი (ხარები, რუსთავი).

მდგომარეობა 2 ეტაპის შემდეგ: 1.ინგლისი — 36 (18/18), 2.ესპანეთი — 31 (16/15), 3.პორტუგალია — 30 (14/16), 4.საფრანგეთი — 27 (15/12), 5.საქართველო — 22 (8/14), 6.რუსეთი — 20 (12/8), 7.უელსი — 20 (10/10), 8.იტალია — 10 (4/6), 9.ჰოლანდია — 7 (6/1), 10.რუმინეთი — 6 (2/4), 11.უკრაინა — 6 (3/3), 12.მოლდოვა — 3 (1/2).

# ვის დაიმატებს დინამო

თბილისის დინამოში 2 ესპანელი ფეხბურთელის დამატება გადაწყვეტილია. ორივე ფლანგელი ნახევარმცველია — 30 წლის ხისკო „ლევანტედან“ და 23 წლის კარლეს სოტო, „ანორთოსისიდან“. სავარაუდოდ, ისინი ხვალ შეუერთდებიან დინამოს.

თუმცა, ალექს გარსიას გუნდს ერთი ესპანელი ფორვარდიც დაემატება. თავად მწვრთნელმა თქვა, რომ დინამოს თავდამსხმელი სჭირდება.

ფრანცისკო ხავიერ მუნიოს ლომპარტი — დაიბადა 1980 წლის 5 სექტემბერს, მარცხენა ნახევარმცველი.

კარიერა: ვალენსია ბ (1999-2003, 37 მატჩი, 14 გოლი), უელვა (2000-01, 39 მატჩი, 10 გოლი), ტენერიფე (2001-02, 28 მატჩი, 1 გოლი), უელვა (2002-03, 23 მატჩი, 6 გოლი), ვალენსია (2003-05, 40 მატჩი, 5 გოლი), ბეტისი (2005-09, 73 მატჩი, 8 გოლი), ლევანტე (2009-11, 54 მატჩი, 9 გოლი).

ესპანეთის ნაკრებში: 17-წლამდელებში 3 მატჩში 1 გოლი; 18-წლამდელებში 6 მატჩში 2 გოლი; 21-წლამდელებში 8 მატჩში 2 გოლი.

ამ ფეხბურთელის კარიერის პიკი 2003-2004 წლების სეზონი იყო, როცა □ვალენსიასთან ერთად მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, უეფა-ს თასი და უეფა-ს სუპერთასი. სხვათა შორის, ხისკომ უეფა-ს თასის ფინალშიც ითამაშა მარსელთან 2:0 მოგებულ მატჩში.ხისკო ღამურებში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არ ითვლებოდა, რადგან იმ დროს, მშვენიერ ფორმაში იყო ვისენტე — ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე, ვისენტე, არა მარტო ვალენსიაში, ესპანეთის ნაკრებშიც უკონკურენციო იყო და მაშინ მსოფლიოს წლის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. თუმცა, ვისენტეს ხშირი ტრავმიანობიდან გამომდინარე, ხისკოს მაინც საკმაოდ ეძლეოდა თამაშის საშუალება და ასეც რომ არ ყოფილიყო, დინამოს ახალწვეულს ზოგჯერ მეორე ფორვარდად ამწესებდა რაფა ბენიტესი.

ბოლო სეზონი: ხისკომ ლევანტეში 26 მატჩი ჩაატარა (16 ძირითადში) და 1 გოლი გაიტანა, სევილიასთან 1:4 წაგებულ შეხვედრაში. თუმცა, ხისკომ წლეულს, მადრიდის რეალსაც გაუტანა ესპანეთის თასზე 2:0 მოგებულ მატჩში, ეგაა, მანამდე, ლევანტელებს 0:8 ჰქონდათ წაგებული. ხისკო 175 სანტიმეტრია, სწრაფი, ტიპიური ფლანგელი ნახევარმცველია და ძლიერი დარტყმაც აქვს მარცხენა ფეხით.

კარლეს სოტო — დაიბადა 1988 წლის 1 თებერვალს, მარჯვენა ნახევარმცველი.კარიერა: ბარსელონაც□ (2006-08), მუსკრონი ბელგია (2007-08, 21 მატჩი, 2 გოლი), სევილია ბ□ (2008-09, 20 მატჩი), ბენიდორმი (2009-2010, 31 მატჩი), □ანორთოსისი კვიპროსი (2010-11, 23 მატჩი, 1 გოლი).

ესპანეთის ნაკრებში: 16-წლამდელებში 4 მატჩში 1 გოლი; 19-წლამდელებში 6 მატჩი.კარლეს სოტო ბარსელონასთან მდებარე ქალაქ ხირონაშია დაბადებული. კატალონიელის კარიერა ხისკოსავით შთამბეჭდავი ვერაა, თუმცა, ახალგაზრდაა და ერთ დროს ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებშიც თამაშობდა. ანორთოსისში შარშან ჩაირიცხა, კერძოდ, გუნდის მაშინდელმა თავკაცმა, გილერმო ჰოიოსმა (□ბარსას□ აკადემიაში მუშაობდა და ფეხბურთელის შესაძლებლობებს კარგად იცნობდა) მიიყვანა და 1 პლუს 1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ანორთოსისამდე, სოტო ესპანეთის სეგუნდა დივიზიონ ბ-ის (მე-3 ლიგაა) □ბენიდორმშიც თამაშობდა.

# ხვავრიელობა ოქროს გარეშე

სერბეთის ქალაქ ზრენიანინში ბოლო ორი დღე ახალგაზრდა ბერძენრომაელებს დაეთმოთ და საქართველოს ნაკრების 8 წევრიდან კვარცხლბეკზე 4 ავიდა.

პირველ დღეს ვლადიმერ ადეიშვილის გუნდი ნახევარფინალამდე უდანაკარგოდ მივიდა. მერე კი, ფინალის საგზური ერთადერთმა, 50 კილოგრამში მოჭიდავე ნიკა ცეცხლაძემ მოიპოვა, გერმანელი დენიზ მენეკსეს ძლევით. ამ შეხვედრამდე ქართველმა მსუბუქწონოსანმა სერბი დანიელ სპოლიარიჩი და სომეხი რუდიკ მკრტჩიანი ჩამოიცილა. ევროპის ჩემპიონის ტიტულს აზერბაიჯანელი ვილაიატ გაჰრამანლისთვის მოგებაღა აშორებდა, მაგრამ დაძაბულ სანახაობრივ ჭიდაობაში დამარცხდა და ვერცხლს დაჯერდა.ზურაბ დათუნაშვილი (74 კგ) და სანდრო დიხამინჯია (96 კგ) კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ. დათუნაშვილმა ძირითად ბადეში პოლონელ ლუკაშ ჩარზევსკის, ჩეხ ოლდრიჩ ვარგას და მოლდოველ იგორ ბესლეაგას აჯობა. ოქრო-ვერცხლის შანსი მომავალ ჩემპიონთან, რუს ისლამ ჩარაევთან წაგებით დაკარგა, რეპეშაჟის ფინალში კი უნგრელი პატრიკ სზაბო დაამარცხა.

დიხამინჯია ევროპირველობაში პირდაპირ მერვედფინალიდან ჩაერთო. სლოვენიელი ტილენ პესერლი და რუსი ზელიმხან ბელხაროევი კი ჩამოიშორა, მაგრამ სომეხ არტურ ალექსანიანთან ველარას გახდა. ბრინჯაოს ფინალში დიხამინჯია ნორვეგიელ მარტინ ჰამლეტ ნილსენს საკმაოდ იოლად გაუსწორდა.

უმედლოდ მხოლოდ გოგიტა გოგიბერაშვილი (60 კგ) დარჩა. ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, რუს ასკერ ორშოკდუგოვთან განცდილი მარცხის შემდეგ ვერც თურქ ემრე ასლანთან იხეირა და ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა. ამ წაგებულ შეხვედრებამდე კი სამი მეტოქის: უკრაინელი დმიტრო ციმბალინკის, ნორვეგიელი პეტერ კარლსენისა და მოლდოველი მაქსიმ მამულატის ძლევა მოახერხა.

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით დღეს ერთადერთი მედლის მოპოვება შეძლო. კვარცხლბეკზე ნაკრების გამოცდილი წევრი საჩინო დავითაია (66 კგ) ავიდა. ჩემპიონობამდე მას გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება დააკლდა.

ფინალში დავითაიამ რუს მაგომედ ჩუხალოვთან წააგო. იქამდე კი ოთხი მეტოქე ჩამოიცილა: შვედეთის სახელით მოჭიდავე ფრუნზე ჰარუთინიანი, თურქი დოგან გოკტაში, რუმინელი რაზვან მოტოი და ფრანგი დიეგო ჟუსო.

26 ივნისს ჩემპიონ-პრიზიორები 55, 84 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებშიც გამოვლინდნენ. თორნიკე ტოტიკაშვილმა (55 კგ) ევროპირველობაზე მხოლოდ ორი შეხვედრა ჩაატარა. რუმინელ ოვიდიუ ატანასოეს კი გასცდა, მაგრამ ბულგარელ ნიკოლაი ვიჩევთან ველარას გახდა და ძირითად ბადეში გამოსვლა დაასრულა, ხოლო მას შემდეგ, რაც ფინალს ვერც ბულგარელმა უწია, ტოტიკაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსიც დაკარგა.

დავით ჩაკვეტაძე (84 კგ) ბულგარელი სტანისლავ კანევის, ხორვატი სტეპან ლავრიჩისა და ფრანგი სამბა დიონგის დამარცხების შემდეგ, ნახევარფინალში უკრაინელ ჟან ბელენიუკთან ველარას გახდა, მერე კი რეპეშაჟის ფინალში თურქ ასლან ატემთან წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

მძიმეწონოსანმა სერგო გოგისვანიძემაც მომავალ ჩემპიონთან მარცხით დაასრულა ოქრო-ვერცხლზე ფიქრი. რუს ვასილი პარშინთან წაგების შემდეგ დამამშვიდებელ ეტაპსაცნაადრევად დაემშვიდობა, რადგან ვერც უნგრელი ბალინტ ლამის წინააღმდეგობა დაძლია.

# ხავიერ მასკერანო: „არგენტინას საკუთარი სახე უნდა ჰქონდეს“

ბარსელონასა და არგენტინის ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანოს ესპანურ ას-ს ინტერვიუ მისცა, სადაც პრიმერა დივიზიონის განვლილ სეზონზე ისაუბრა. მასკე თვლის, რომ არგენტინის ნაკრებს ბარსას სათამაშო სტილის გადმოღება არ სჭირდება:

***— პირველი სეზონი გაატარეთ ესპანეთში. შთაბეჭდილებები?***

— პრიმერას მოგება ძალიან ძნელია, რადგან აქ გვყავს საშიში მეტოქე — მადრიდის „რეალი“□. და მაინც, ჩემპიონები გავხდით. ეს მშვენიერია.

***— არა მარტო პრიმერა, ჩემპიონთა ლიგაც მოიგეთ.***

— ვერ ვიფიქრებდი, რომ პირველივე წელს ორივე ტიტულს მოვიგებდი. ოცნება რეალობად იქცა.

***— ანუ, კმაყოფილი ხართ „ბარსელონაში“ გადასვლით?***

— დიახ. ეს დამეხმარა პროფესიულ წინსვლაში. გამიმართლა, რომ მოვხვდი კლუბში, რომლის ყველა ფეხბურთელს თავისუფლად შეგიძლიათ უწოდოთ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო.

***— ერთი ტიტული გაუშვით ხელიდან — „ბარსამ“ □სამეფო თასის ფინალი წააგო „რეალთან“, თქვენ კი სერიოზული სიტყვიერი ომი გქონდათ თანამემამულე ანხელ დი მარიასთან...***

— მიუხედავად ამისა, დი მარიას მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ვთვლი.

***— მესივით ძლიერია?***

— ლეო მსოფლიოში საუკეთესოა. თუმცა, ლეო მორიდებულია და სურს, რომ მასაც ისე უყურებდნენ, როგორც სხვებს. უბრალო ადამიანია და ცხოვრებაში მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ფეხბურთი კარგად და ლამაზად ითამაშოს. მესის არ სჭირდება პრივილეგია. ისიც ვთქვათ, რომ სხვა ფეხბურთელების გარეშე ლეო ბევრს ვერაფერს გააკეთებდა. და ჩვენც, □„ბარსას“□ ფეხბურთელები არც ველით, რომ იგი მოვა და ყველას გადაგვარჩენს. უნდა აღვნიშნოთ, მესი ჩვენი კოზირია.

***— მალე „კოპა ამერიკა“ იწყება. რას ელით?***

— ყველანი სერიოზულად უნდა მივუდგეთ ამ ტურნირს, მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ, გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია უნდა მოვახდინოთ. ბოლო წლებში არგენტინის ნაკრები თავის ქომაგებს არცთუ ხშირად ახარებდა. „კოპა ამერიკა“ არგენტინაშია და ასეც რომ არ იყოს, ჩემპიონობის კარგი შანსი გვაქვს.

***— არგენტინის ნაკრებს „ბარსელონასავით“ თამაში შეუძლია?***

— არგენტინას არ სჭირდება სხვების მიბაძვა. ჩვენ საკუთარი სახე უნდა გვქონდეს.

***— თავს ნაკრების ლიდერად თვლით?***

— ხმამაღალი ნათქვამი იქნებოდა. ჩვენს ნაკრებში ყველა ფეხბურთელს შეუძლია ერთმანეთის დახმარება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-ვოლგა ... 0:3

*ვოლგელთა მხრიდან 2 ბურთი ოთარ მარცვალაძემ გაიტანა*

ამკარი-ცსკა ... 0:2
ზენიტი-ტერეკი ... 0:0
კრ.სოვეტოვი-ნალჩიკი ... 0:2
რუბინი-ყუბანი ... 0:2
დინამო-ლოკომოტივი ... 4:1
კრასნოდარი-ანჟი ... 2:2
სპარტაკი-როსტოვი ... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 15 | 10 | 4 | 1 | 31:10 | 34 |
| 2.ზენიტი | 16 | 8 | 6 | 2 | 26:12 | 30 |
| 3.დინამო | 16 | 8 | 5 | 3 | 25:18 | 29 |
| 4.რუბინი | 16 | 7 | 6 | 3 | 23:13 | 27 |
| 5.ანჟი | 16 | 7 | 6 | 3 | 17:13 | 27 |
| 6.ყუბანი | 16 | 7 | 3 | 6 | 17:14 | 24 |
| 7.სპარტაკი | 16 | 7 | 3 | 6 | 17:19 | 24 |
| 8.ლოკომოტივი | 16 | 6 | 4 | 6 | 24:22 | 22 |
| 9.კრასნოდარი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:21 | 21 |
| 10.ტერეკი | 16 | 5 | 4 | 7 | 13:17 | 19 |
| 11.ამკარი | 16 | 5 | 4 | 7 | 12:19 | 19 |
| 12.ვოლგა | 15 | 5 | 1 | 9 | 17:17 | 16 |
| 13.ტომი | 16 | 3 | 7 | 6 | 15:26 | 16 |
| 14.როსტოვი | 16 | 3 | 4 | 9 | 19:28 | 13 |
| 15.ნალჩიკი | 16 | 2 | 6 | 8 | 13:22 | 12 |
| 16.კრ.სოვეტოვი | 16 | 2 | 5 | 9 | 8:24 | 11 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-მალმიო ... 2:0
მიალბი-იორებრო ... 2:1
გეფლე-გიოტებორგი ... 1:0
ტრელებორგი-აიკი ... 1:2
დიურგარდენი-ჰეკენი ... 1:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სონგდალი-ფრედრისკტადი ... 0:1
ოდ გრელანდი-ლიოლდე ... 1:0
სტარტი-ვალერენგა ... 0:2
სტრომგოდსეტი-ჰაუგესუნდი ... 3:1
ტრომსო-სტაბეკი ... 3:3
ვიკინგი-რუსენბორგი ... 0:0

**ბრაზილია. სერია ა**

ავაი-ფლუმინენსე ... 0:1
ბოტაფოგო-გრემიო ... 2:1
კორინთიანსი-სან პაულუ ... 5:0
ატლეტიკო(გ)-ვასკუ ... 0:1
ინტერნასიონალი-ფიგუირენსე ... 4:1

### კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

პოლონეთი-საფრანგეთი ... 54:58
ესპანეთი-ხორვატია ... 71:75
ჩერნოგორია-ლატვია ... 74:70

### წყალბურთი

**მსოფლიო ლიგა. სუპერფინალი**

კანადა-ჩინეთი ... 10:9
ჩერნოგორია-ავსტრალია ... 8:7
იტალია-სერბეთი ... 7:8
ხორვატია-აშშ ... 11:5

### ფრენბურთი

**მსოფლიო ლიგა**

**კაცები**

ბულგარეთი-იაპონია ... 3:2
პორტუგალია-სერბეთი ... 1:3
საფრანგეთი-კუბა ... 1:3
იტალია-ს.კორეა ... 3:0

**ევროლიგა**

**კაცები**

საბერძნეთი-ჰოლანდია ... 2:3
ბელარუსი-თურქეთი ... 3:0
სლოვაკეთი-რუმინეთი ... 1:3

**ევროლიგა**

**ქალები**

საბერძნეთი-საფრანგეთი ... 1:3
ბელარუსი-თურქეთი ... 3:1
ხორვატია-რუმინეთი ... 3:0
სერბეთი-ესპანეთი ... 3:0



## ხართ თუ არა აქტიური ადამიანი?

1. კარგად გრძნობთ თუ არა თავს ბრძოლის, მეტოქეობის ატმოსფეროში?
2. გიყვართ თუ არა ცეცხლის ცქერა?
3. ხართ თუ არა ვერძი, ან ლომი, მშვილდოსანი?
4. ადვილად იტანთ უარს, მაშინაც კი თუ იცით, თქვენი თხოვნის შესრულება შეუძლებელია?
5. გიყვართ თუ არა ლაპარაკი?
6. გიყვართ თუ არა საქმიანობა, რომელიც სწრაფ რეაქციას ითხოვს?
7. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ ყველა გზას მიზნისკენ მიყავხართ?
8. მიგაჩნიათ თუ არა, სასიხარულოა, რომ ასეთ აქტიურ პერიოდში ცხოვრობთ?
9. გყოფნით თუ არა ენერგია დაბრკოლებების გადასალახავად?
10. დარწმუნებული ხართ, რომ საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის მისაღწევად ცხოვრებისეული სკოლის გავლა არის საჭირო?

**პასუხები** *დადებითი პასუხების მიხედვით:*

**0-5 ქულა:** სამწუხაროდ, ენერგიული არ ხართ, ადვილად და სწრაფად იღლებით, არ გიყვართ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. გიჭირთ გადაწყვეტილების მიღება.

**6-10 ქულა:** მხიარული ხართ, ადვილად ეწყობით ადამიანებს. გაქვთ ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი თვისებები. ვერ იტანთ, როდესაც სხვა ადამიანებზე ხართ დამოკიდებული. მიგაჩნიათ, რომ რაც იცით, თქვენივე დამსახურებაა.

გ. თ.

## ჯეიმს ბონდმა ცოლი შეირთო

ბრიტანელმა მომღეარლმა დენიელ კრეიგმა, რომელმაც ჯეიმს ბონდის ფიმებში „კაზინო როიალი" და „მოწყალების კვანტი" მთავარი როლი ითამაშა, ნიუ იორკში მსახიობი რეიჩელ ვაისი შეირთო ცოლად. 43 წლის კრეიგისა და ოსკარის მფლობელი მსახიობის რომანი გასული წლის დეკემბერში დაიწყო. 41 წლის ვაისი ცნობილია ფილმებში „შადრევანი" და „ერთგული მებაღე" შესრულებული როლებით. მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულების ოსკარი მას სწორედ ამ ბოლო ფილმისათვის გადასცეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ქორწინებას მხოლოდ კრეიგის ქალიშვილი წინა ქორწინებიდან, აგრეთვე ვაისის 5 წლის ვაჟი და ახლობლებისა და ნათესავების მცირერიცხოვანი ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ. კრეიგის წინა ქორწინებამ მხოლოდ ორ წელიწადს გასტანა და 1994 წლიდან იგი უცოლო იყო.

თავის მხრივ, ვაისი წარსულში ჰოლივუდის ცნობილ რეჟისორზე, დარენ არონოფსკიზე იყო გათხოვილი. ისინი ერთმანეთს გასული წლის ნოემბერში გაშორდნენ. ამჟამად კრეიგი და ვაისი მხატვრული ფილმის „ოცნებების სახლის" გადაღებაში მონაწილეობენ, სადაც ცოლ-ქმარის როლს ითამაშებენ.

გარდა ამისა, კრეიგი შვედური ფილმის „გოგონა დრაკონის სვირინგით" ჰოლივუდის რიმეიქშიც ითამაშებს. აქ იგი მთავარ როლზე მიიწვიეს. ფილმი ეკრანებზე 2011 წლის მიწურულს უნდა გამოვიდეს.

## მეცნიერები ატლანტიკის ეკოლოგიის მნიშვნელოვან ცვლილებებზე ალაპარაკდნენ

ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მეცნიერებმა პლანქტონი აღმოაჩინეს. ამ რაიონში პლანქტონი უკანასკნელად 800 ათასი წლის წინ ცხოვრობდა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, პლანქტონის მიგრაცია ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ყინულების დნობამ გამოიწვია, რის წყალობითაც პლანქტონმა წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანეში მოხვედრა შეძლო.

პლანქტონი ზღვის მრავალი ბინადრის საკვებია, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მისი გამოჩენა ატლანტიკაში ოკეანის მასშტაბით მსხვილმასშტაბოვან ცვლილებებს გამოიწვევს. ასე მაგალითად, 2010 წელს ესპანეთის და ისრაელის ნაპირებთან რუხი ვეშაპები შეამჩნიეს. ისინი დღემდე მხოლოდ წყნარ ოკეანეში ბინადრობდნენ. ატლანტის ოკეანეში რუხი ვეშაპები უკანასკნელად 300 წლის წინ ნახეს. მეცნიერების თქმით, ვეშაპები ატლანტიკაში პლანქტონის კვალდაკვა, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ყინულების დნობის წყალობით მოხვდნენ, შემდეგ კი ხმელთაშუა ზღვაშიც შეაღწიეს.

მეცნიერების ვარაუდით, მსგავსი მიგრაცია კლიმატური პირობების ცვლილებასთან ერთად ცხოველების ქცევისა და გადაადგილების ცვლილებაზე მიანიშნებს, რაც თავის მხრივ, ექოსისტემაში ძირეულ ცვლილებებს იწვევს. უკანასკნელად მსგავსი მასშტაბის ცვლილებები, მეცნიერების აზრით, დედამიწაზე 2 მილიონი წლის წინ მოხდა. მაშინ ატლანტის ოკეანეში ახალი სახეობების გამოჩენამ კონკურენციის გამწვავება და რიგი სახეობების გადაშენება გამოიწვია. ოკეანის წყლის ტემპერატურისა და ქიმიური შემადგენლობის ცვლილებამ მეთევზეობაზეც შეიძლება მოადინოს ზეგავლენა, რადგან თევზის მრავალი სახეობა ტემპერატურის ზრდასთან ერთად ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლებს.

გ.თ.

# ჩვენ აფხაზებს უნდა დავუახლოვდეთ

გულიკო ბალა ე

ელიას მთაზე, სამების ეკლესიის ეზოში აფხაზეთში დაღუპული ქართველი და აფხაზი მეომრების სახელზე და მათი სულის მოსახსენიებლად სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი იკურთხა.

აფხაზეთის ომის დროს დაღუპული ქართველი და აფხაზი მეომრების სახელზე ტაძრის აშენება მეომართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ შამუგიას იდეა იყო.

აფხაზეთის ომის დროს დაღუპული მეომრების სახელზე ტაძარი ამა წლიას 18 ივლისს აკურთხეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტაძრის კურთხევაზე აფხაზეთიდან ომში დაღუპული აფხაზი მეომრების დედებიც იყვნენ მოწვეულები.

ზურაბ შამუგია დევნილი გახლავთ და დევნილთა კონგრესის თავმჯდომარის მოადგილეცაა.

ზურაბ შამუგია იბრძოდა აფხაზეთში. იგი ყოფილი 23-ე ბრიგადის პირველი ბატალიონის მეთაური და აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლებში ღებულობდა მონაწილეობას. ამდენად, ამ ტაძრის აშენების იდეა აფხაზეთის ომის ვეტერანს ეკუთვნის.

ზურაბ შამუგია აცხადებს, რომ ტაძრის აშენება ქართველებისა და აფხაზების შერიგებისთვის მოიფიქრა.

ნიშანდობლივია, რომ ტაძრის კურთხევაზე მიწვევა აფხაზეთში აფხაზმა შვილმკვდარმა დედებმა მიიღეს და ჩამოვიდნენ კიდეც. მათ შეუერთდნენ თბილისში მცხოვრები აფხაზებიც. მათთან ერთად ტაძრის კურთხევას უამრავი ხალხი ესწრებოდა.

**ზურაბ შამუგია:**

— პრესაში გახმოვანდა, რომ ამ ტაძრის აშენება მეომართა კავშირის იდეა იყო. სამების ეკლესიის ეზოში აფხაზეთში დაღუპული ბიჭების სულის მოსახსენიებლად ტაძრის აშენება ქართველებისა და აფხაზების შერიგების პროცესის დასაწყებად მოვიფიქრე. ვფიქრობ, ტაძარი ყველას მოეწონა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ტაძრის კურთხევაზე აფხაზეთიდან დაღუპული აფხაზი მეომრების დედებიც ჩამოვიდნენ. საერთოდ, 2000-მდე კაცი მოვიწვიეთ. ტაძრის კურთხევას დაესწრნენ აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი მეომრების დედებიც. მოვიდნენ თვითონ აფხაზეთის ომის ვეტერანებიც. მიხარია, რომ იქ მობრძანდა ისეთი ხალხი, რომელმაც უბრალოდ გაიგო ტაძრის კურთხევის თაობაზე. შეკრებილმა საზოგადოებამ მოიწონა ტაძრის აშენება, — განაცხადა ზურაბ შამუგიამ.

***— ბატონო ზურაბ, ტაძრის კურთხევაზე აფხაზეთიდან ომში დაღუპული აფხაზი მეომრების დედები ჩამოვიდნენ...***

— დიახ, ჩამოვიდნენ ისეთები, რომლებსაც მეუღლეები და შვილები დაეღუპათ ომში. მათი შვილები და შვილიშვილებიც იყვნენ ჩამოსულები.

***— თბილისში ჩამოსვლაზე როგორ დაითანხმეთ?***

— შევატყობინეთ, თავისით ჩამობრძანდნენ და ტაძრის კურთხევაშიც მონაწილეობა მიიღეს. ომში დაღუპული აფხაზი და ქართველი მეომრების დედები ერთმანეთს უბოდიშებდნენ მომხდარის გამო. მათ ერთმანეთი გადაკოცნეს და თქვეს, რომ შემდგომში ჩვენ ერთად მშვიდობიანი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ.

***— ბატონო ზურაბ, თქვენ ფიქრობთ, რომ ამით შერიგების პროცესი დაიწყო?***

— დიახ, შერიგების პროცესი იწყება. აფხაზმა დედებმა თქვეს, რომ შემდგომ ღონისძიებაზე იქიდან უფრო ბევრნი ჩამოვლენ. გვითხრეს, აფხაზეთიდან 50 აფხაზ დედას ჩამოვიყვანთო. ახლა 12 დედა იყო ჩამობრძანებული. კარგია, რომ მათ აქაური აფხაზები შეუერთდნენ.

***— ამ საქმის ორგანიზატორი მეომერთა კავშირი იყო?***

— ამ საქმის ორგანიზატორი დევნილთა კონგრესი, ვეტერანები და მეთაურთა საბჭოა. შექმნილია აფხაზეთის მეთაურთა საბჭო და ერთობლივად ვაკეთებთ საქმეს.

***— ფინანსური უზრუნველყოფა როგორ მოახერხეთ?***

— არსებობს ფონდი „მზე შინა და მზე გარეთა", რომლის დახმარებით მოვახერხეთ ამ ტაძრის აშენება.

***— „მზე შინა და მზე გარეთა" ვისი ფონდია?***

— აღნიშნული ფონდი შექმნილია აფხაზეთის ომის ვეტერანის მინდია გულუას ხელმძღვანელობით. ტაძრის აშენების იდეა რომ დამებადა, რა თქმა უნდა, მესმოდა, რომ ყველაფერი ფინანსებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, დიდი თანხები არ გაგვაჩნდა, მიწის გამოყოფისთვის მაინც ვიმუშავეთ. შემდეგ დავუკავშირდით მინდია გულუას. მან რჩევა მოგვცა, რამდენსაც შეძლებთ, შეაგროვეთ. რაც ანგარიშზე შეგროვდება, მითხარით და შევეცდები დანარჩენი თანხა მთლიანად საკუთარ თავზე ავიღო, რომ ყველანი ამ ტაძრის აშენების მონაწილე ვიყოთო.

***— აფხაზეთის ომში თქვენ პირადად იბრძოდით...***

— დიახ, მე 23-ე ბრიგადის პირველი ბატალიონის მეთაური ვიყავი და 92 ვაჟკაცი ბიჭი მყავს ომში დაღუპული. ხშირად მიწევს დაღუპული მეომრების დედებთან შეხვედრა. ჩვენი დედები არ მიგვიტოვებია.

***— აფხაზი დედები რამდენი ხანს დარჩნენ?***

— 2-3 დღე დარჩნენ.

***— ხომ არ იცით, აფხაზი დედები როგორ მივიდნენ იმ აზრამდე, რომ საჭირო იყო თბილისში ტაძრის კურთხევაზე ჩამოსვლა და დაღუპულ ქართველ მეომართა დედებთან შერიგება?***

— მათ ძალიან გაუხარდათ, რომ ასეთი ტაძარი შენდება და სურვილი გამოთქვეს ასეთივე ტაძარი სოხუმშიც აშენდეს.

***— ამის საშუალებას რუსები და სეპარატისტები მისცემენ?***

— ამას მე ვერ გეტყვით (ცოტა რთული საკითხია), სეპარატისტები და რუსები მათ ომში დაღუპული ქართველი და აფხაზი მეომრების სახელზე სოხუმში ტაძარს ააშენებინებენ თუ არა, მაგრამ ამ დედებმა სურვილი გამოთქვეს, ასეთი ტაძარი იქაც აშენდეს. თქვეს, რომ უახლოეს პერიოდში შეგვახვედრებენ ომის აფხაზ ვეტერანებს, მეთაურებს.

***— აფხაზ დედებს, რომლებიც თბილისში იმყოფებოდნენ, სეპარატისტთა ლიდერებზე ან აფხაზურ საზოგადოებაზე გავლენა აქვთ?***

— რადგან ჩამობრძანდნენ, ალბათ არ ეშინიათ.

***— აფხაზეთში აფხაზ უხუცესთა საბჭო არსებობს, იქ მათ რაიმე გავლენა აქვთ?***

— ალბათ გავლენა აქვთ, რადგან გვეუბნებიან, რომ შემდგომში 50 დედას ჩამოიყვანენ.

***— დაღუპული აფხაზი მეომრების დედებს ვისი მეშვეობით დაუკავშირდით, კონტაქტი გქონდათ?***

— დიახ, მათთან კონტაქტი გვქონდა, შევატყობინეთ და ჩამობრძანდნენ.

***— ამ საქმეში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენები ჩართული იყვნენ?***

— ხელისუფლების წარმომადგენლები ტაძრის კურთხევაზე მოწვეული გვყავდა. ზოგი მოვიდა, ზოგი — არა. როგორც ტელევიზიით და გაზეთით მესმის, ხელისუფლება შერიგებას მიესალმება.

***— სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლების აზრი თუ იცით აფხაზი დედების მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე?***

— ჯერჯერობით, არაფერი გაგვიგია. მე მგონი, წინააღმდეგობა არ უნდა იყოს. ჩვენ შერიგებისთვის ვმუშაობთ. მთავარი ისაა, რომ ამ იდეას ყველა ვეტერანი შემოუერთდა. ამის თაობაზე ალბათ, ბევრმა არ იცის. იმედი გვაქვს, გაიგებენ და სხვებიც შემოგვიერთდებიან. რაც მეომართა კავშირის თავმჯდომარემ ლომიამ განაცხადა, სწორი არ არის. გვინდა ამ საქმეს ისიც შემოუერთდეს და ჩვენ გვერდით იყოს, თუმცა, ლომია იქ კი მობრძანდა. ამ წამოწყებას ყველა უნდა შემოუერთდეს და შერიგების პროცესს ხელი უნდა შეუწყოს აფხაზმაც და ქართველმაც. მოდით, ჩვენ ერთმანეთს დავუახლოვდეთ, ერთმანეთისკენ წავიდეთ. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები აფხაზები და ქართველები ერთმანეთთან მეგობრობენ, ერთმანეთზე ქორწინდებიან, რატომ არ შეიძლება აქაც ერთად ვიცხოვროთ და ერთად ვიყოთ. ამას ვამბობთ ჩვენ. ამიტომ ამ საქმეში ჩაერთო ჩვენი დიასპორაც. ზოგი ამბობს, ისინი რა შუაში არიანო. ისინი ერთად არიან, ერთმანეთის გვერდით არიან. ის დიასპორა ჩვენ აქ გვარჩენს. ასევე არჩენს აფხაზებს აფხაზური დიასპორა. მათ დიდი გავლენა აქვთ იქაც და აქაც, რატომ არ გამოვიყენოთ?

***— სხვა ქვეყნებში ჩვენს დიასპორებს პრობლემა არ აქვთ. მათ ურთიერთობას ხელს არავინ უშლის, მაგრამ აქ რუსის ჯარი დგას. რუსის ჯარი აფხაზებს და ქართველებს შერიგების საშუალებას მისცემს?***

— ეს არ არის სასიამოვნო. რუსეთის ჯარი აქ არ უნდა იდგეს. მოვა დრო, როცა ის ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან გავა, მაგრამ ჩვენ ამ ჯარის აქ ყოფნის პირობებშიც შეგვიძლია შერიგებისთვის ვიზრუნოთ. ჯარი წავა. რაც უფრო დავუახლოვდებით ერთმანეთს, მით უფრო დაჩქარდება რუსის ჯარის წასვლა. რაც უფრო დავშორდებით ერთმანეთს, მით უფრო დიდხანს იქნება რუსეთის ჯარი აფხაზეთში

***— ბატონო ზურაბ, ადრე ხშირად გვესმოდა, ტერიტორიის დაბრუნებაზე კი არა, აფხაზების დაბრუნებაზე უნდა ვიზრუნოთ. აფხაზეთს რომ დავიბრუნებთ და აფხაზეთში დავბრუნდებით, იქ დაგვხვდება საზოგადოება, რომელმაც შეიძლება არ მიგვიღოსო, ანუ აფხაზეთში დასაბრუნებლად საფუძვლები უნდა მომზადდესო. თქვენი აზრი როგორია ამასთან დაკავშირებით?***

— ჩვენ ვერავითარ ტერიტორიას ვერ დავიბრუნებთ, აფხაზები და ქართველები თუ არ შევრიგდებით. შერიგების პროცესი უნდა დაიწყოს მათგან, ვინც შვილი დაკარგა, ვინც ოჯახის წევრი დაკარგა და ვინც ომობდა. ეს ხალხი რომ შერიგდება, ჩათვალეთ, რომ შერიგების პროცესი არა თუ დაწყებულია, არამედ კარგა შორსაა წასული. შერიგების პროცესი ამით თითქმის დამთავრებულად შეიძლება ჩავთვალოთ. თუ აფხაზები და ქართველები შევრიგდით, ტერიტორია დაბრუნდება და ისინი ჩვენი მტრები აღარასოდეს იქნებიან. ჩვენ ერთმანეთი უნდა მოვძებნოთ. ერთმანეთს შორის ნათესაობა და მეგობრობა უნდა აღვადგინოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

საზოგადოება „კუს ტბა" სულითა და გულით ულოცავს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ

**ნოდარ გურაბანიძეს**

რუსთაველის პრემიის მინიჭებას.

ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას თავის ულამაზეს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. მარჯანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 3. უსაფუვროდ გამომცხვარი პური; 5. ჯახეთის მთიანეთში მდებარე ჩამქრალი ვულკანი; 6. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. ჭაობში მზარდი მცენარეების საერთო სახელწოდება; 10. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 12. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისთვის; 14. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 15. გულდა კალაძის სკულპტურა ბიჭვინთაში; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

**თარაზულად:** 1. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 4. გარეული ცხოველის საჭერი მახე; 7. ავსტრალიური პატარა ზონის კენგურუ; 9. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 11. თეატრი ლონდონში, სადაც შექსპირის ტრაგედიები იდგმებოდა; 12. კოსმოდრომი რუსეთში; 13. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 17. მაღალი რეგისტრის ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 20. ქართული მალამო.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:**

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. დირიჟორი; 6. ამაზონიტი; 9. კომეტა; 10. ნაგაზი; 11. დაზგა; 13. ტაიტი; 15. პამელა; 18. პაიკი; 21. კარტოფილი; 22. არამისი; 23. კაპრონი.

**შვეულად:** 1. დიპლომი; 2. კიმონო; 3. თარაზულად; 4. კიდობანი; 7. კალენდარი; 8. კვადრატი; 12. პატრიოტი; 14. იატაგანი; 16. ლახვარი; 17. მეჯლისი; 19. მინა; 20. ამია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პო; 2. ფარა; 3. ვენა; 4. ვალი; 5. იაბო; 6. ფერია; 7. კაფია; 8. არი; 9. ვალე; 10. ანკეტა; 11. აფრიკა; 12. კრამოლა; 13. ბარონ; 14. ალი; 15. ნეო; 16. ტონა; 17. ლი; 18. იასი; 19. კარე; 20. იოტა; 21. სი; 22. სარო; 23. ასი; 24. პიეტა; 25. პანტა; 26. რუკა; 27. ბი; 28. პორტი; 29. ტვიდი; 30. შვება; 31. ხოხობი; 32. ვალაბი; 33. ნანსუკი; 34. ან; 35. ვინ; 36. უფლება; 37. კრავი; 38. ბინა.

**სურათებზე:** ჯოდი ფოსტერი; ალვარო რეკობა.

# მაიკლ ჯექსონის ტყავის კოსტიუმი 1.8 მილიონად გაიყიდა

ტყავის შავ-წითელი პიჯაკი, რომელიც ამერიკელ მომღერალ მაიკლ ჯექსონს 1983 წელს კლიპის „თრილერის" გადაღების დროს ეცვა, კალიფორნიაში გამართულ აუქციონზე 1.8 მილიონ დოლარად გაიყიდა.

იგი ბირჟის ტექსასელმა ტრეიდერმა მილტონ ბერეტმა შეიძინა.

ამ კლიპის გადაღების დროს მაიკლ ჯექსონს ორი კოსტიუმი ჰქონდა, აუქციონზე ერთ-ერთი მათგანი გაიყიდა. კოსტიუმის ავტორი გახლდათ დიზაინერი ებორა ლენდისი. მაიკლ ჯექსონს კოსტიუმი საფლავებიდან ზომბების ამოსვლის სცენის გადაღებისას ეცვა.



აუქციონის გამარჯვებულმა განაცხადა, რომ კოსტიუმთან ერთად საქველმოქმედო ტურნეში წასვლას და საბავშვო საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის თანხის შეგროვებას აპირებს.

კოსტიუმის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ნაწილი შამბალას ნაკრძალს მოხმარდება, სადაც ოდესღაც მაიკლ ჯექსონის კუთვნილი ორი ბენგალური ვეფხვი ბინადრობს.

ორდღიანი აუქციონი მაიკლ ჯექსონის გარდაცვალების მეორე წლისთავს დაემთხვა. თრილერი ჯექსონის მეექვსე სტუდიური ალბომია. იგი 1982 წელს არის ჩაწერილი, ერთი წლის შემდეგ კი გამოვიდა 14-წუთიანი ვიდეოკლიპი, რომელიც საშინელებათა ფილმის სტილში არის გადაღებული.

1985 წელს გენესის რეკორდების წიგნმა „თრილერი" მუსიკალური ისტორიის ყველაზე გაყიდვად ალბომად გამოაცხადა. ჯექსონის გარდაცვალების შემდეგ როგორც ორიგინალური, ასევე განახლებული გამოცემის ალბომის გაყიდვა მკვეთრად გაიზარდა.

მიმდინარე მომენტისათვის მსოფლიოს მასშტაბით ამ ალბომის გაყიდვის მოცულობა სხვადასხვა წყაროების მონაცემებით 65-100 მილიონის ფარგლებში მერყეობს.

მაიკლ ჯექსონი 2009 წლის 25 ივნისს გულის გაჩერების გამო გარდაიცვალა. მისი სიკვდილი სამკურნალო პრეპარატების ჭარბ დოზას დაუკავშირეს.

მიმდინარე წლის მაისში ლოს ანჯელესის სასამართლომ ჯექსონის ექიმის, კონრად მიურეის საქმის განხილვა სექტემბრისათვის გადაიტანა. მიურეის ჯექსონის არაწინასწარგანზრახული მკვლელობის ბრალდებები აქვს წაყენებული.

გამოძიების ვერსიის თანახმად, ექიმმა მიურეიმ ჯექსონს ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი პრეპარატების სასიკვდილო დოზა მისცა, რის შემდეგაც პაციენტს სათანადო სამედიცინო დახმარება ველარ გაუწია.

თავად ექიმი ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ ჯექსონის სიკვდილი მისი ქმედებით არ იყო გამოწვეული.

**გ.თ.**

# 26 მაისს აქციის შეწყვეტის შემდეგ პოლიციამ მთელი სისასტიკით გააგრძელა ოპერაცია

**ნანა მიშელაშვილი**

ოპოზიციონერმა დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ 26 მაისს მომხდარი მოვლენების სამართლებრივი დასკვნა ჟურნალისტებს გააცნო. გუშინ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე, დიმიტრი ლორთქიფანიძემ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული დასკვნა წარმოადგინა.

ამ დასკვნის თანახმად, 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე, სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებმა დაახლოებით 00.12 წუთზე დაიწყეს მშვიდობიანი, საპროტესტო აქციის დარბევა.

— დარბევის დროს სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ გამოყენებული იქნა წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, აკუსტიკური იარაღი, რეზინის ტყვიები და ხელკეტები, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

ამ დასკვნის თანახმად, აქციის შეწყვეტის შემდეგ პოლიციამ მთელი სისასტიკით გააგრძელა ოპერაცია, რაც წარმოადგენდა არა ძალის გადაჭარბებას, არამედ მომიტინგეების დასჯის და ანგარიშსწორების წინასწარგანზრახულ ოპერაციას: დარბევის დროს სპეცრაზმის თანამშრომლების მიერ გამოყენებულ რეზინის ხელკეტებს ლითონის გარსი შემოვლებული და მათ გამეტებით ურტყამდნენ ხელებშეკრულ, მიწაზე მწოლიარე მომიტინგეებს, რეზინის ტყვიებს.

— აქციის დაშლასა და მონაწილე პირთა დაკავებაში მონაწილეობდნენ სპეცრაზმის და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, თუმცა, ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ასევე შინდისფერ ფორმაში ფორმაში ჩაცმული, ხელკეტებით შეიარაღებული პირები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ისინი საერთოდ არ მონაწილეობდნენ არც მომიტინგეთა დაშლაში და არც მათ დაკავებაში და მხოლოდ მომიტინგეთა სასტიკი ცემით იყვნენ დაკავებულები. არაოფიციალური ინფორმაციით, ისინი სასჯელაღსრულების სამინისტროსა და შსს-ს კუდის მე-7 განყოფილების თანამშრომლები იყვნენ, — ნათქვამია სამართებლივ დასკვნაში, რომელსაც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აწერს ხელს.

დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ის, რომ



აქციის დარბევის დროს პოლიციის ამოცანა არა აქციის შეწყვეტა, არამედ მომიტინგეებთან ანგარიშსწორება წარმოადგენდა, თბილისის მერმა გიგი უგულავამ და და ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ დაადასტურეს.

სამართლებრივ დასკვნაში ნათქვამია, რომ აქციის შეწყვეტის შემდეგ პოლიციამ მთელი სისასტიკით გააგრძელა სადამსჯელო ოპერაცია, სასტიკად სცემეს ხელშეკრული პირები, პოლიცია ძირს დაყრილი ადამიანების სხეულებზე გადადიოდა, ცემა-წამება გრძელდებოდა სამმართველოებშიც.

დასკვნის მიხედვით, აქციის დაშლის შედეგად დაიღუპა 4 მომიტინგე და ერთი პოლიციელი, მრავლობითი დაზიანება მიიღო ასეულობით ადამიანმა.

— აქციის მონაწილეთა დიდი ნაწილი (700-მდე) დააკავეს და გადაიყვანეს ქ.თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც გაგრძელდა მათი ცემა და წამება. რამდენიმე საათის შემდეგ ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ოქმის შედგენის ან სხვა სამართლებრივი პროპაცედურის გარეშე დაკავებულების დიდი ნაწილი გაათავისუფლეს, ძირითადად ასაკობრივი ნიშნით — 50 წელზე უფროსები, ხოლო პოლიტიკოსები და სხვა ცნობილი სახეები ქალაქის გარეუბნებში მარტო მიატოვეს (სასაფლაოებზე, ბენზინგასამართ სადგურებზე და ასე შემდეგ), — ნათქვამია არასამთავრობოების მიერ მომზადებულ სამართლებრივ დასკვნაში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ პოლიციის განცხადებით, 26 მაისს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები ␣იქნა აღმოჩენილი, თუმცა, სამართალდამცავები ვერ ასაბუთებენ თუ რატომ არ გამოიყენა აქციის არც ერთმა მონაწილემ ეს საშუალება პოლიციის წინააღმდეგ.

არასამთავრობოები საუბრობენ იმაზეც, რომ ბრალდება ბადრი ბიწაძის მიმართ პროპაგანდისტული ხასიათისაა და ხელისუფლების მიზანს არ წარმოადგენდა მისი დაპატიმრება.

— შსს-ს მიერ გავრცელდა ოპერატიული ვიდეომასალა ნინო ბურჯანაძის და მისი ვაჟის — ანზორ ბიწაძის საუბრის ფარული ჩანაწერი. ჩანაწერის თანახმად, ნინო ბურჯანაძე და ანზორ ბიწაძე ხელისუფლების შეცვლის სხვადასხვა გზებს განიხილავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავად ქვეყნის პრეზიდენტიც კი ნინო ბურჯანაძეს ხელისუფლების შეცვლის უმთავრეს ორგანიზატორად მოიხსენიებს ნინო ბურჯანაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ამ დრომდე არ არის აღძრული, — ნათქვამია დასკვნაში.

კიდევ ერთი, არასამთავრობოები 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევაზე საუბრობენ, როდესაც ხელისუფლებამ ასევე გაავრცელა ვიდეო მასალა. დასკვნის მიხედვით, ოპოზიციის ცალკეულ ლიდერებს მათ შორის: ბადრი პატარკაციშვილს, შალვა ნათელაშვილს, ლევან ბერძენიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, გოგა ხაინდრავას და ირაკლი ოქრუაშვილს ბრალს სდებდნენ რუსეთთან კავშირსა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში, მიუხედავად ჩანაწერებისა ფაქტზე არ დაწყებულა გამოძიება და არ დაუპატიმრებიათ მასში მონაწილე პირები.

— 2011 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ყინწვისში დააკავეს შეირაღებული დაჯგუფება 24 კაცის შემადგენლობით. შსს-ს განცხადებით, დაკავებულებს ხელმძღვანელობდა საქართველოს ყოფილი შს მინისტრი და ასევე „მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერი თემურ ხაჩიშვილი. საქმეში ერთადერთ მტკიცებულებად დაკავებულ პირთა ჩვენებები გვევლინება. არ არსებობს დაკავებულთა საპროტესტო აქციების ორგანიზებაში მონაწილეობისა და შესაძლო შეირაღებული პროვოკაციების მოწყობის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, — მიაჩნიათ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## პაატა გოროდინსკი

### ოჯახის სევდა



ჩემო საყვარელო და მონატრებულო შვილო! დროს გზა აებნა და დღეს, 28 ივნისს, 12 წლით დაგვაშორა ერთმანეთს, რომელიც ძალიან მტკივა... გამოხატვა შეუძლებელია. დედაშენის ხედვა ჩამობნელებულია, მხოლოდ შენი ნაწილი სიკეთე და სიყვარული მინათებს გზას. მართალია, ცხოვრება გრძელდება, მაგრამ ყველაფერი ფერმკრთალი და შეუცნობადია... ამას ვერ გეტყვით, შევძლებ თუ არა გამოცნობას... ძნელი მისია დამაკისრეთ და უბედური გამხადეთ.

შვილო, ჩემო, დამიტოვე შენი სიყვარული საკუთრებაში. კარგი იქნებოდა, რომ შენს საფლავზე შენს შვილს დაედგა ფეხი და მერე ის შენი პატრონი ყოფილიყო...

დედაშენს მეტი არაფერი ახსოვს და არც უნდა. გონება მებინდება და სული მეხუთება, როცა ამაზე ვფიქრობ, რომ ჩემს შემდეგ შენს საფლავს რა ეშველება. ნორმაზე მეტად მიყვარდი და მიყვარხარ პაატა. ყოველთვის ვცდილობდი, რომ საწყენი არ მეთქვა ხმამაღლა. შენთვის მხოლოდ ჩემი გამოხედვაც საკმარისი იყო. თუ გინდაც ბოლო ასაკამდე... 35 წლამდე.

დღევანდელი გადასახედიდან ნეტავ ასეთი არ ყოფილიყავი, იქნებ, ასე არ დამნანებოდი. მეცოდები, ვიწვი ცოცხლად. დედაშვილობა მწვავდება დროის დინებით... დედასა და ოჯახს კი სჭირდები. ოოო... როგორ მენატრება შენი გაღიმებული სახე. შვილო, ნუთუ ისეთი მადლიერი ხარ დედაშენის, რომ არაფერს მთხოვ და არც მესიზმრები. კარგი, თუ ასე გინდა, დავემშვიდობოთ ერთმანეთს... მარტო თქვენი ბედნიერებით შემიძლია ვიცოცხლო.

უფალს ვთხოვ, დაე, შენი დატოვებული დიდი სიკეთე და სიყვარული გინათებდეს მარადიული სასუფევლის გზას.

**შენგან უბედური დედა ლუღუნი**

საზოგადოება „კუს ტბა" მწუხარებას გამოთქვამს ბონდო კალანდაძის დედის

**რაისა მიქაშავიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გამომცემლობები „ინტელექტი" და „არტანუჯი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამავე გამომცემლობების თანამშრომელს ილია ხელაიას გარდაეცვალა მეუღლე

**მანანა კახიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ეროვნული საგანძურის დაცვაზე „საქპატენტი" იზრუნებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გი, მანფრედ ნავროტი, თაიკო კოკოჩაშვილი, ნატალია შელეგია, ნინო გედევანიშვილი, მიშა წერეთელი). ტრენინგები 29 ივნისს დასრულდება.

␣ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში კი ინდოელი (ვარლი) სახალხო მხატვრის ბაბიტა ბისვას გამოფენა გაიხსნა. ინდური ხალხური — ვარლის მხატვრობის გამოფენა საქართველოში პირველად გაიმართა. პროექტის მხარდაჭერა ინდოეთის საელჩოს კულტურულ ურთიერთობათა განყოფილებამ ითავა.

# გინესის წიგნის ყაბარდოელმა რეკორდსმენმა თვალავაძეების ოჯახს გოლიათის დაბადება მიულოცა

**ეკა ირემაშვილი**

ნალჩიკში მცხოვრებმა ყაბარდოელმა გოლიათმა ჯამბულატ ხატოხოვმა, რომელიც 2003 წლიდან გინესის წიგნის რეკორდსმენია, თვალავაძეების ოჯახს ვაჟი-გოლიათის — ერეკლეს დაბადება მიულოცა. ჯამბულატს სექტემბერში 12 წელი შეუსრულდება, დღეისათვის ის 175 სმ სიმაღლისა და 175 კგ წონისაა. იგი ვარჯიშობს ჭიდაობაში და შტანგაზე, სწავლობს ნალჩიკის ერთ-ერთ სკოლაში.

ჯამბულატმა და მისმა დედამ, ნელიმ ინტერნეტით გაუგზავნეს მისალოცი ბარათი და ტელეფონით სმს-ით მიულოცეს თბილისში გოლიათის დედას სალომე დუნდუას ერეკლეს დაბადება. ამის შესახებ ნალჩიკში მყოფმა ჯამბულატმა და მისმა დედამ ქართველ ჟურნალისტს თენგიზ პაჭკორიას შეატყობინეს, რომელსაც ისინი 2003 წლიდან იცნობენ. ჯამბულატმა განაცხადა, რომ თავის თბილისის გზავნილში ␣პატარა ერეკლეს და მის დედიკოს ჯანმრთელობა და ცხოვრებაში წარმატებები უსურვა␣.

როგორც თბილისელი გოლიათის დედამ, ქალბატონმა სა-



ლომემ განაცხადა, მან მიიღო მრავალრიცხოვანი გულითადი მილოცვა, მათ შორის ჯამბულატ ხატოხოვისგანაც. მან მადლობით უპასუხა ჯამბულატს და დედამისს ასეთი გულწრფელი მილოცვისათვის.

ერეკლე თვალავაძე წონით 5,8 კგ დაიბადა თბილისში 26 ივნისს. ექიმების განმარტებით, ასეთი წონის ბავშვის დაბადება ძალიან იშვიათია არა მხოლოდ საქართველოში.

# TV პროგრამა

## სამშაბათი 28 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "დინოზავრების კვალდაკვალ" **19.45** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00, 01.50** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი "**გარიყული**" (ტ. ჰენკსი) (სუბტ.) **01.30** მოამბე **02.50** აუდიტორია **03.50** მხ. ფილმი "**სოციალური მკვლელობა**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ. ფ. "**ამერიკის კიდე**" **01.00** მხ. ფილმი "**მწვრთნელი კარტერი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ქალის მსხვერპლი**" **19.45** სერ."**ახალგაზრდა ქვრივი**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი "**საუბარი**" (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.25** მხ. ფილმი "**კერეტი კაკალი 3**" (ბ. უილისი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.00, 23.40** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.20, 14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**ორმაგი ცხოვრება**" **12.50, 19.30** სერ. "**ამანდა ო**" **15.00** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **18.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ალავერდი" **10.40** მოკლ. ფილმი "**ადგილის დედა**" **11.00** საქართველოს ისტორია **11.25** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" 1-ლი ს. **13.30** კონცერტი – შ. მილორავა "ისევ ის ბაღი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**ფატიმა**" **17.05** დოკ. ფ. "გზა" მე-2ს. **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" მე-2ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** დოკ. ფილმი "მიტოვებული ყვავილები" **01.35** მოკ. ფილმი "**ბიძინა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**28 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583
ევრო —2,4216
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,0597

## ამინდის პროგნოზი 28 ივნისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-32, ღამით — 16-18

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-26, ღამით — 15-1§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-2§, ღამით — 19-17








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## არგენტინა უმთავრესი დერბის გარეშე დარჩა



2011 წლის 26 ივნისი შავი ასოებით ჩაიწერება ლეგენდარული □„რივერ პლეიტის"□ ისტორიაში. მოხდა ის, რასაც ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა — „რივერ პლეიტი" არგენტინის პრიმერა დივიზიონიდან გავარდა. ეს ზუსტად ისეთი ამბავია, ესპანეთის პრიმერადან □„ბარსელონა"□ ან მადრიდის □„რეალი"□ რომ გავარდეს.

არგენტინის ჩემპიონატის ფლეი აუტში □„რივერ პლეიტს" □„ბელგრანოსთან" პირველი შეხვედრა 0:2 ჰქონდა წაგებული, შინ კი 1:1 ითამაშა. მე-5 წუთზე „რივერის"□ ფორვარდმა მარიანო პავონემ ანგარიში გახსნა, თუმცა 61-ე წუთზე აუგუსტო ფარემ გაათანაბრა. გადამწყვეტი მომენტი 69-ე წუთზე იყო, როცა პავონემ პენალტი ვერ გაიტანა. 89-ე წუთზე თამაში შეწყდა, რადგან □რივერ პლეიტის□ ფანებმა სტადიონ მონუმენტალის მინდორზე სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს. არბიტრსაც რა ექნა, გავიდა 3 დამატებული წუთი და მატჩი დაამთავრა. პოლიციამ ძლივს აღკვეთა ქაოსი, რომელიც შემდეგ სტადიონს მიღმა გაგრძელდა.

გულშემატკივრები □„რივერ პლეიტის"□ ფეხბურთელებს ემუქრებოდნენ, რომლებიც პოლიციამ ძლივს შეიყვანა გასახდელში. მწვრთნელი ხუან ხოსე ლოპესიც ბეწვზე გადარჩა.

□მონუმენტალის გარეთ ფანებსა და პოლიციას შორის შეტაკება დიდხანს გაგრძელდა, მთელ ბუენოს აირესს მოედო ჩხუბი და ამ მომენტისთვის 89 ადამიანია დაშავებული, რომელთაგან 39 პოლიციელია. 4 გულშემატკივარი კრიტიკულ მდგომარეობაშია...□„რივერ პლეიტი"□ არგენტინის 33-გზის ჩემპიონია, რაც ქვეყნის რეკორდია. კლუბს ორჯერ (1986, 1996) მოუგია კოპა ლიბერტადორესი, ხოლო ერთხელ (1986) — საკონტინენტთაშორისო თასსაც შეწვდა. 15 წლის წინ, 1996 წლის 26 ივნისს □რივერ პლეიტის□ კაპიტანმა ენცო ფრანჩესკოლიმ კოპა ლიბერტადორესის თასი აღმართა. ახლა რომ ჩამოვთვალოთ, რა დონის ვარსკლავებს უთამაშიათ □ლოს მილიონარიოსში, უაზრობა გამოვა...

ახლი კი წარმოიდგინეთ არგენტინა „რივერ პლეიტ" -□ბოკა ხუნიორსის დერბის გარეშე...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ასტროპროგნოზი 28 ივნისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, ძალიან გახარებული ხართ. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა ნამდვილად ღირს, საქმიანი შეხვედრა გელით. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს. **მერწყული** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# მალე! მალე! მალე!

გაზეთი „ახალი თაობა" და გამომცემლობა „კლიო"




# გთავაზობთ უნიკალურ გამოცემას

## საქართველოს 100 ღირშესანიშნაობა

## გაზეთი და წიგნი ერთად 15 ლარი


## იუმორი



***

— კენტავრებო, სიგარეტს თავი დაანებეთ, თქვენთვის ნიკოტინის ნახევარი წვეთიც კი სასიკვდილოა!..

***

— ძალიან ხშირად საკუთარ თავს ვეკამათები ხოლმე. ზოგჯერ საქმე მუშტი-კრივამდეც მიდის...

***

— საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დროს მთავარი შეკითხვის ოსტატურად დასმა კი არ არის, არამედ — სასურველი პასუხის ეშმაკურად შეტყუება...

***

— კამასუტრას შესავლიდან: ყველა პოზა პროფესიონალების მიერ არის შესრულებული და გამეორებას ნუ ეცდებით.

***

— დღეს რაღაც დაიგვიანეთ წვეულებაზე. სხვათა შორის, ერთი შესანიშნავი ქალი გვეწვია. წარმოგიდგენიათ, გაცნობიდან ხუთი წუთის შემდეგ მასთან ერთად საწოლში აღმოვჩნდი. შეხედეთ, იმავეს გამეორებას არ ისურვებდით?

— არა.

— რატომ, იმპოტენტი ხართ?

— არა..

— გეი?

— არა.

— ან იქნებ...

— მისი ქმარი ვარ!!!

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინგლისური ფარმაცევტული ფირმა; 2. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 3. ზმნის ერთ-ერთი დრო გრამატიკაში; 5. აეროპორტი პარიზში; 6. ესპანეთის ნაკრებისა და „ლივერპულის" ფეხბურთელი; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. ქართველი სპორტული ტელეკომენტატორი; 14. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. აფრიკული უკუდო მაიმუნი.

**თარაზულად:** 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული ცხელი, წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. აზნაურთა ტიტული საფრანგეთში; 7. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 9. მომჭირნეობა, ზომიერება ხარჯვაში; 10. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 12. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 18. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო გეგმა; 20. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 21. ბერძნული ყველი; 22. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

